სარგებელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 18 აგვისტო 2005 №188 (2511) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზახეთი დემენმა შეიპყრო

გიორგი დემეტრაძემ მასპინძლები დაამალვათა

AFP ალბათდან

მარადონამ პელე აცეკვა

დიეგოს ტელეშოუ დაიწყო

6

უბრალოდ ნახეთ და ისიამოვნეთ

ინტერვიუ ჯეი ჯეი ოკოჩასთან

7



მალარიის გაკვეთილი

უილსონ კიპკეტერი სარგებელიდან წავიდა

15

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

დემეკრატიკ

დარსაძეს დავალება შეუსრულეს, ტიმოფეევს — გადადექი!

ალმათი. 17 აგვისტო. 16 საათი. ცენტრალური. 8 000 (ტევადობა 30 000)

ყაზახეთი 1:2 საქართველო

1:0 კენჟეხანოვი (23), 1:1, 1:2 დემეტრაძე (50, 84)

ყაზახეთი: ლორია, კუჩმა, ფამილცევი, ირისმეტოვი, ნ. ხოხლოვი, ტრავინი, აზოვსკი (ნიზოვცევი 57), ლარინი (ჩიჩულინი 84), ბაიტანოვი, ჟუმასკალიევი, კენჟეხანოვი
სათადარიგონი: ნოვიკოვი; კარპოვიჩი, კროხმალი, როდიონოვი, შაკინი
მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი

საქართველო: ლომაია, მენთეშაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი, ალადაშვილი (ოდიკაძე 79), ცქიტიშვილი, კანკავა, გახოკიძე, დემეტრაძე (განუგრავა 90), იაშვილი (მუჯირი 67)
სათადარიგონი: სტურუა; სალუქვაძე, ღვინიანიძე, ჩხეტიანი
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

გაფრთხილება: ტრავინი (47), ცქიტიშვილი (47), ალადაშვილი (72), ხიზანიშვილი (88), მენთეშაშვილი (89)

მსაჯები: რ. პავრილა; მ. რუუბარსკი, ვ. ლასკოვსკი; პ. ოლშიაკი (ყველა სლოვაკეთი)

ძახა შალამბერიძე
ალმათიდან

...თამაშის დაწყებამდე ოცი წუთი რჩება, სტადიონი კი თითქმის ცარიელია. აქაური ჟურნალისტები „გვამშვიდებენ", ხალხი თანდათან უფრო მეტი მოვაო.

წინა დღეს, გვიან ღამით შეუძლოდ იგრძნეს თავი ლევან ცქიტიშვილმა, ზურაბ ხიზანიშვილმა და გიორგი განუგრავამ. წინასწარი დიაგნოზით, მათ საკვებით მოწამვლის ნიშნები ჰქონდათ. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა და ცქიტიშვილი და ხიზანიშვილი შემადგენლობაში არიან, განუგრავა კი სათადარიგოა.

როგორც გუშინდელ „სარბიელში" გითხარით, ალმათიში არ ჩამოვიდა ლადო ახალაია. ამ ამბავმა და ზემოთ ნახსენები სამეულის შეუძლოდ გახდომამ კი გაიოზ დარსაძე იძულებული გახადა, ახალგაზრდული ნაკრებიდან გადაეყვანა რატი წინამძღვრიშვილი და მათე ღვინიანიძე, რომლებმაც ყაზახთანატოლებთან მატჩში მართლაც კარგად დაგვამახსოვრეს თავი, თუმცა მატჩის განაცხადში მხოლოდ ღვინიანიძე მოხვდა...

თამაში იწყება და სტადიონზე მაქსიმუმ რვა ათასი მაყურებელი თუ იქნება. პირველმა წუთებმა ქართველთა უპირატესობით ჩაიარა. გაიოზ დარსაძემ 4-4-2 სქემაზე დაიწყო გუნდი: დაცვაში მენთეშაშვილი-ხიზანიშვილი-კალაძე-კობიაშვილი, ნახევარდაცვაში ალადაშვილი-კანკავა-ცქიტიშვილი-გახოკიძე და თავდასხმაში იაშვილი-დემეტრაძე.

მასპინძლები სათამაშო კლასით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევიან, თუმცა ბევრს მოძრაობენ და თამაშიც გაათანაბრეს.

მე-10 წუთზე პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა — გოგა გახოკიძის მოცელვისთვის დანიშნული ჯარიმა ლევან კობიაშვილმა შორეულ კუთხეში მოჭრა, თუმცა „ქართველმა" ყაზახმა დავით ლორიამ იმარჯვა. წუთში კი ჩვენი მცველების შეცდომით ნურბოლ ჟუმასკალიევმა ვერ ისარგებლა — კახა კალაძეს დაეჩაგვრინა.

ყაზახებმა ტემპს უმატეს, მაგრამ ერთხელაც ვთქვათ: მათ საშემსრულებლო დონე ძალიან ღალატობთ.

23-ე წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს: მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს დანიარ კენჟეხანოვმა ვარდნაში თავი დაუხვედრა და შორეულ კუთხეში ჩასვა — 1:0. სტადიონი გუგუნებს, ქართველი ფეხბურთელები კი მოულოდნელად გაშვებულმა გოლმა დააბნია.

31-ე წუთზე გოგა გახოკიძემ გაიელვა — თავის ფლანგზე ხუთი მეტოქე ჩამოიშორა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ბადეს გარედან მოარტყა ბურთი. მალე ალექსანდრე იაშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ აუღო. საქართველოს ნაკრები შესამჩნევად გააქტიურდა. ისეთი შეგრძნებაა, რომ ცოტაც და, ანგარიში გათანაბრდება...

მე-40 წუთია: კობიაშვილ-გახოკიძე-იაშვილის სამსვლიანი კომბინაცია ყაზახთა მეკარემ ჩაშალა.

ტაიმის მიწურულს კი მასპინძლებს მეორე გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ნურბოლ ჟუმასკალიევმა ახლოდან ააცილა. ძალიან არეული თამაშია, თუმცა ტაიმი უკვე დასრულდა და ალბათ დარსაძე გარკვეულ ზომებს მიმართავს. ვნახოთ...

მეორე ნახევარიც დაიწყო. შეცვლები არაა, თუმცა ჩანს, რომ დარსაძემ კიდევ უფრო წინ ასწია განაპირა ნახევარმცველები — კახა ალადაშვილი და გოგა გახოკიძე.

ქართველებმა აქტიურად დაიწყეს



ბოლო დროს გიორგი დემეტრაძეს წყვილ-წყვილად გააქვს

და კობიაშვილის წინააღმდეგ ყაზახები ერთ წუთში ორჯერ დაჯარიმდნენ — მეორე ჯერზე გიორგი დემეტრაძე ბრწყინვალე იყო — 1:1. ეს ამბავი 50-ე წუთზე მოხდა.

ტემპს თუ არ დავაგდებთ, მეორე გოლის გატანაც შეიძლება. ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ცქიტიშვილს ლორიამ მართლაც მშვენიერი ნახტომით აუღო.

ყაზახებს უჭირთ, მაგრამ უნდა ნახოთ, რა ხდება ტრიბუნებზე. მაყურებლები თავგამოდებით ამხნევებენ საყვარელ გუნდს.

დრო გადის, ყაზახები, ეტყობათ, ფრეზეც თანახმანი არიან, ქართველები კი ისეთივე სისწრაფით ველარ გამოირჩევიან, როგორც ტაიმის დასაწყისში იყო.

მე-80 წუთზე დემეტრაძემ ისევ გაიელვა — მეკარეს ბურთი ხელიდან გააგდებინა, თუმცა ლორიამ იმარჯვა და ნახტომით ააცალა, დამატებაზე კი შეცვლაზე შესულ დავით მუჯირს მცველმა დაასწრო. რამდენიმე წამში კობიაშვილს არ გაუმართლა — მეკარემ ამჯერადაც იყოჩაღა, კუთხური და... არის! გოგა გახოკიძის ჩაწოდებულს „დემომ" საგოლე თავური მიაყოლა — 2:1. ეს 84-ე წუთზე მოხდა.

„დემეს" ჰეთ თრიქიც შეეძლო, მაგრამ... კარს მილიმეტრებით ააცილა.

მსაჯი ოთხ წუთს ამატებს. გაიოზ დარსაძე კი მატჩის გმირ გიორგი დემეტრაძეს გიორგი განუგრავათი ცვლის. მორჩა! საქართველომ 2:1 მოიგო.

უკრაინა	9	7	2	0	15:3	23
თურქეთი	9	4	4	1	19:7	16
სებერძნეთი	9	4	3	2	12:7	15
დანია	8	3	3	2	13:8	12
ალბანეთი	9	3	0	6	7:16	9
საქართველო	8	2	2	4	12:17	8
ყაზახეთი	8	0	0	8	3:23	0

შემდეგი ტური. 3 სექტემბერი

საქართველო — უკრაინა
ალბანეთი — ყაზახეთი
თურქეთი — დანია

სერგეი ლარინი და გიორგი გახოკიძე

პრესკონფერენცია

გაიოზ დარსაძე ნამატჩევს აშკარად კმაყოფილი ჩანდა და ეს არც პრესკონფერენციაზე დაუმალავს...

— შედეგზე მნიშვნელოვანი დღეს ის იყო, თუ როგორ შეასრულებდნენ ფეხბურთელები ჩემს დავალებას, თუმცა, რა თქმა უნდა, მოგებამ გამახარა. თამაშის ხარისხმაც დამაკმაყოფილა. საქართველო ახლა უკვე მომავალი შესარჩევი ციკლისთვის ემზადება და შემდეგ მატჩებშიც რამდენიმე ახალგაზრდას მივცემთ თავის გამოჩენის საშუალებას. დღეს კი მხოლოდ ორმა, ჯაბა კანკავამ და გიორგი განუგრავამ ითამაშეს. ყაზახეთი საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდია და წარმატებას ვუსურვებ.

მასპინძელთა თავკაც **სერგეი ტიმოფეევს** კი მტრისას, პრესკონფერენციაზე დღე დაადგა... დარბაზში მისი შემოსვლა და ყაზახი ჟურნალისტების მოთხოვნა — გადადექი, არ გვჭირდები, ერთი იყო. ტიმოფეევმა ეს საკმაოდ მშვიდად მიიღო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი იქ ყოფნისას ყაზახი ჟურნალისტებისთვის პასუხი არ გაუცია, სხვა კი ეს თქვა:

— შედეგი ლოგიკურია, საქართველო ჩვენზე გაცილებით მაღალი კლასის გუნდია. ქართველებს ოდნავ უფრო სწრაფად თამაში რომ შეეძლოთ, დარწმუნებული ვარ, ისინი უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე იქნებოდნენ. დღეს ძალიან ძლიერ გუნდთან ვითამაშეთ და კიდევ კარგად გადავრჩით. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში თავიდან ჩვენი იყო, ქართველების შეჩერება ვერ შევძელით.

მარცვალაძე და ლოკომოტივი ერთად თქვეს

რუსეთის ჩემპიონმა, მოსკოვის „ლოკომოტივმა“, რომელსაც თავდამსხმელების პრობლემა წამოეჭრა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში თბილისური „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდი ოთარ მარცვალაძე შეიძინოს. როგორც შევიტყვეთ, ამ ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკება რამდენიმე კვირის წინ დაიწყო და ახლა საბოლოო ფაზაშია. მართალია, „ლოკომოტივ“-მარცვალაძის საქმის“ თაობაზე „ვიტ ჯორჯია“ ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს და თავად ფეხბურთელიც უარყოფს მოსკოვში გადაბარგების პერსპექტივას, მაგრამ საფეხბურთო წრეებში მარცვალაძის „ლოკომოტივში“ შესაძლო გადასვლაზე ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ.

— ადრე მართლაც მქონდა წინადადება ერთ-ერთი რუსული გუნდიდან, მაგრამ ახლა ტრანსფერთან დაკავშირებით ახალი არაფერია, „ლოკომოტივში“ წასვლაზეც ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. საქართველოშიც და რუსეთშიც ჩემპიონატი მიმდინარეობს, თავად კი „ვიტ ჯორჯიაში“ ვთამაშობ და იანვრამდე, ალბათ, აქვე დავრჩები — გვითხრა გუშინ ოთარ მარცვალაძემ.

და თუ იანვრამდე მარცვალაძე მართლაც დარჩა „ვიტ ჯორჯიაში“, მერე, შესაძლოა, მისი გადაბირება თბილისის „დინამომაც“ ისურვოს, ყოველ შემთხვევაში, კულუარებში ამ ვარიანტზეც ხშირად ლაპარაკობენ. ვნახოთ...

ლუკა თალაძვაძე

ნემსაძე-რუსთავი, იყიდე-გაყიდე

რუსთავის მერია გიორგი ნემსაძესა და მის პარტნიორებს საფეხბურთო კლუბ „რუსთავის“ გაყიდვის თაობაზე პასუხს ამ კვირის ბოლოს ეტყვის.

მერიასა და გიორგი ნემსაძეს შორის მოლაპარაკება უკვე რამდენიმე კვირაა, გრძელდება და როგორც თავად ნემსაძე ამბობს, „რუსთავის“ ყიდვასთან დაკავშირებით პრობლემები აღარ უნდა შეიქმნას, ანუ კლუბი გაიყიდება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ ნემსაძემ „რუსთავი“ იყიდა, მის საკუთრებაში გადავა „ფოლადის“ სტადიონიც. არანაირი პროცენტული გადანაწილება-გარიგება არ შედგება. კლუბი თავის სტადიონიანად მთლიანად გაიყიდება, ხოლო რამდენად, ეს საკითხი კონფიდენციალურია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

შეგახსენებთ, გიორგი ნემსაძესა და მის პარტნიორებს „რუსთავის“ ყიდვა ადრეც სურდათ. მეტიც, წინა სეზონის ბოლოს ამ კლუბს პატრონობდნენ კიდეც, მაგრამ მერე ვითარება შეიცვალა და გიორგი კლუბს დაშორდა. მასვე სურდა უპატრონოდ დარჩენილი გორის „დილას“ შესყიდვაც, თუმცა რეგიონის ხელმძღვანელობას თანხაზე ვერ შეუთანხმდა. აი, ახლა კი, ჩანს, ნემსაძე საწადელს მიაღწევს და რასაკვირველია, ეს ამბავი მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის იქნება მომგებიანი — „რუსთავს“ შეძლებული პატრონი აქამდეც უნდა ჰყოლოდა.

ლუკა თალაძვაძე

მიხეილ აშვეთია: ნაკრებს თავს გავასხენებ

დავით გამეზარდაშვილი მოსკოვის ლოკომოტივშია

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ დროს შეუცვლელი ფორვარდი მიხეილ აშვეთია ახლა „როსტოვის“ გადარჩენას ცდილობს. დონისპირელები პრემიერლიგის ცხრილის ფსკერზე ყურყუტებენ და სწორედ მიხოს გოლებისა ეიმედებათ, თუმცა რომც გავარდნენ, ჩვენიანი მაინც წავა გუნდიდან — „ლოკომოტივს“ იგი სეზონის ბოლომდე ჰყავს „როსტოვში“ განათხოვრებული. ბუნებრივია, აშვეთიას საქართველოს ნაკრებზეც ვკითხეთ. გაიოზ დარსაძემ იგი საყაზახეთოდ არ გამოიძახა, თუმცა... ჩემსას ისევ დავამტკიცებო — ამბობს მიხო

მიხეილ აშვეთიას „როსტოვის“ იმედი არა აქვს

— გული როგორ არ დამწყდებოდა, ნაკრები ჩემთვის უპირველესია. არა უშავს, ჩვეულ ფორმაში ჩავდგები, გოლების გატანას დავიწყებ და იმედია, გამომიძახებენ.

— ნაკრების ახალი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე არ დაინტერესებულა შენით, არ გაიკითხა, როგორ ფორმაში ხარ?

დავით გამეზარდაშვილი

— არავინ შემხმიანებია. ჩემი აზრით, ნაკრებს ასე ხშირად არ უნდა ეცვლებოდეს მწვრთნელი. ისე, ძალიან კი გამიხარდა, ყაზახეთში რომ მოვიგეთ.

— ახლა „როსტოვზე“ ვთქვათ. რაც იქ გადახვედი, ერთი გოლი გაიტანე. აშკარაა, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება გაგიჭირდებათ. გაქვთ გადარჩენის იმედი?

— კლუბში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, მაგრამ სასიკეთოდ შეიცვლება თუ არა ვითარება, ჯერ არ ვიცი. 12 თამაში დაგვრჩა და აქედან 6 შინ, რომლებიც უკლებლივ უნდა მოვიგოთ. 18 ქულა პრემიერლიგაში კი დაგვტოვებს, მაგრამ რამდენად გამოგვივა ეს საქმე, ძნელი სათქმელია. რაც არ უნდა ვთქვათ, „როსტოვი“ სუსტი გუნდია.

— „ლოკომოტივში“, ალბათ, ნანობენ შენ გაშვებას — სიჩოვი დაემტვრათ და თავდასხმაში პრობლემები შეექმნათ.

— შესაძლოა, მართლაც ნაწნობენ, მაგრამ ნოემბერში „ლოკომოტივში“ დავბრუნდები. საბოლოოდ იქ დავრჩები თუ ისევ სხვაგან გამიშვებენ, ეს ჯერ არ ვიცი. იქამდე დიდი დროა.

— „როსტოვში“ კახა ალადაშვილის გადასვლა ჩაიშალა?

— ვიცი, რომ ეს ტრანსფერი მზადდებოდა, მაგრამ, მგონი, ჩაიშალა.

— როგორც აქ შევიტყვეთ, ქუთაისის ტორპედოელი დავით გამეზარდაშვილი როსტოვშია გასინჯვაზე—

— არა. აქ უნდა ჩამოსულიყო? მე როგორც ვიცი, მოსკოვის „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს და დღე-დღეზე გაირკვევა, დაიტოვებენ თუ არა გუნდში.

ილია ნანოგაშვილი



103 დაგვებედა

ფიფა-კოკა-კოლას უახლეს რეიტინგში საქართველოს ნაკრების ძვრა არ არის — ჩვენიანები მყარად „ინარჩუნებენ“ 103-ე ადგილს, თუმცა სამი ქულა კი ჩამოაკლდათ. მომავალი რეიტინგი 14 სექტემბერს გამოქვეყნდება და, ბუნებრივია, ცვლილებები იქნება, რადგან იქამდე ქართველები სამ მატჩს გამართავენ — ერთი უკვე ითამაშეს გუშინ ყაზახეთთან და 2:1 მოიგეს, სექტემბრის დასაწყისში კი ჯერ უკრაინას უმასპინძლებენ, მერე კი დანიას სტუმრობენ.

საქართველოს ნაკრების სამი თანაჯგუფელი — თურქეთი, საბერძნეთი, დანია — კვლავ რეიტინგის ტოპ-ოცეულშია, ცხრილს კი, ცხადია, კვლავ ბრაზილია ყოჩობს და თანაც ხელმიუწვდომელი უპირატესობით.

ილია ნანოგაშვილი

1	(1)	ბრაზილია	837	15	(15)	ირანი	708
2	(2)	არგენტინა	782	16	(18)	შვედეთი	708
3	(3)	ჰოლანდია	780	17	(13)	იაპონია	706
4	(4)	ჩეხეთი	777	18	(19)	*საბერძნეთი*	696
5	(5)	მექსიკა	770	19	(20)	*დანია*	696
6	(6)	აშშ	768	20	(22)	ხორვატია	693
7	(8)	ინგლისი	743				
8	(8)	ესპანეთი	739	36	(37)	*უკრაინა*	662
9	(7)	საფრანგეთი	737				
10	(11)	პორტუგალია	737	87	(86)	*ალბანეთი*	494
11	(10)	გერმანია	722				
12	(12)	*თურქეთი*	712	103	(103)	საქართველო	460
13	(14)	იტალია	711				
14	(15)	ირლანდია	709	148	(148)	*ყაზახეთი*	396

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

ჯაბა კანკავა

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ფერრო ზესტაფონს ჯაბა კანკავა ჩაეშალა

გადაწყდა, 20 აგვისტოს, საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურში „ზესტაფონი“ — „დინამო“ ქუთაისში გაიმართება. ალტერნატიული ვარიანტი თბილისის რომელიმე სტადიონი იყო, თუმც ფეროელებს, ცხადია, მეზობელ ქალაქში ბურთაობა ერჩივნათ.

შეგახსენებთ, ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე მინდორი კი დაიგო, მაგრამ თემურ მახარაძის გუნდი იქ პირველ საშინაო მატჩს 10 სექტემბერს „ვიტ ჯორჯიასთან“ გამართავს — ბალახი ხომ ჯერ მოსამაგრებელია.

„ზესტაფონის“ რვა ფეხბურთელი გუშინდლამდე ყაზახეთში იყო ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებთან ერთად, დანარჩენი მოთამაშეები კი წყალტუბოში ვარჯიშობდნენ.

და კიდევ, იმერული კლუბის გენერალურმა დირექტორმა დავით აბაშიძემ გვითხრა, ალანიელი ჯაბა კანკავას „ზესტაფონში“ ჩარიცხვის ვარიანტი ამ ეტაპზე ჩაიშალაო.

ილია ნანობაშვილი

ვარჯიში ზღვაზე



ამირან გოგიტიძე

ვიდრე საქართველოს ეროვნულ-ახალგაზრდული ნაკრებები ყაზახეთში თამაშობდნენ, ქართული გუნდები დროს უქმად არ კარგავდნენ და საჩემპიონატო პაუზას უკეთ მოსამზადებლად იყენებდნენ.

„ბათუმმა“, ამ დღეებში თურქეთში „ხოფასფორთან“ რომ ითამაშა და 1:2 დამარცხდა, გუშინწინ ფოთში „კოლხეთს“ 1:0 მოუგო. გოლი ბესიკ თედორაძემ გაიტანა.

თოთლაძე, გოგიშვილი, სიდამონიძე (გალოგრე 46), შავგულიძე (დუმბაძე 46), გ. ჯელაძე, მანწკავა (მ. ბურნაძე 46), დარჩიძე (ცანავა 46), ი. მახარაძე (ჩხაიძე 46), ქაცარავა (ბესიკ თედორაძე 46), მიქაძე (ზირაქიშვილი 46), ფირცხალაიშვილი — ამ ფეხბურთელებმა ითამაშეს გუშინწინ „კოლხეთის“ წინააღმდეგ.

— ფეხბურთელები სათანადო სათამაშო ფორმაში ჯერაც არ არიან, მაგრამ რამდენიმე დღეც და ისინი საქართველოს ჩემპიონატში თავიანთ სიტყვას იტყვიან. რამდენიმე კარგი ფეხბურთელი შევიმატეთ და მათი იმედი გვაქვს — გვითხრა „ბათუმის“ მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ.

„კოლხეთთან“ მიხეილ კაკალაძესა და ბეგლარ თედორაძეს ავადმყოფობის გამო არ უთამაშიათ, ხოლო ნიკა გუშარაშვილი, ვინც „ბათუმთან“ საკონტრაქტო პირობებზე მოლაპარაკებული იყო, მოულოდნელად გუნდს დაშორდა და „ზესტაფონს“ მიაშურა.

ლუკა თალაკვაძე

დავით ყიფიანის თასი

მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

ბათუმი — გურია ლანჩხუთი
კოლხეთი ფოთი **— მაღაროელი** ჭიათურა
ზესტაფონი — ზუგდიდი

პირველი მატჩები 23 აგვისტოს გაიმართება, საპასუხოები — 4 სექტემბერს

ამერი თბილისი **— მეშაქრე** აგარა
თბილისი — რუსთავი
სიონი ბოლნისი **— ლიახვი** თამარაშენი
ცხინვალი — გაგრა
ბორჯომი — მერანი თბილისი
დილა გორი **— მესხეთი** ახალციხე
კახეთი თელავი **— ჩიხურა** საჩხერე
სპარტაკი თბილისი **— სამგორი** გარდაბანი
დინამო სოხუმი **— საგარეჯო**

პირველი მატჩები 24 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო — 5 სექტემბერს

შენს ხელს შაქარი

გუშინ პროფესიულმა ფეხბურთის ლიგამ დავით ყიფიანის სახელობის თასის მეთექვსმეტედფინალის კენჭისყრა გამართა. სულ 12 წყვილი გამოვიდა, მათში გამარჯვებულებს კი მერვედფინალში თბილისის „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ დაემატებიან. პროფლიგისა და ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეს ოთხი გუნდი თასის პირველი ეტაპის მატჩებისგან წლეულს ევროტურნირებში მონაწილეობის გამო გათავისუფლდნენ.



თვალ-თვალი

სად დავემალოთ მზეს? ჯერ ორი ტური გავიდა საქართველოს ჩემპიონატში და მწვრთნელების თუ ფეხბურთელების მთავარი სალაპარაკო თემა ესაა — ცხელა. აი, ფოთის „კოლხეთის“ თავკაც სოსო ფილიასაც „ოლიმპზე“ მყუდრო ადგილი მოუნახავს და შეცვლაზე შესასვლელ გიორგი ტყებუჩავას აგურის ნატეხით უბაზავს სქემას — ის რომ იქით გაიქცევა, შენ ზონა გადაკეტე, შენ რომ გაიქცევი, ასე და ასე გააკეთე...

კარგია, მწვრთნელი შეგირდს რაღაცას რომ უხსნის და მარტო იმას არ ეუბნება — შედი და მიაწექი, შენ უნდა მომაგებინო თამაშიო... ცუდი კი ისაა, რომ მწვრთნელს დაფა ან სუფთა ფურცელი არა აქვს. ვან გაალამდე ჯერ შორია...

მიხაელ ბალაკი დაიტალია

გერმანელი მიხაელ ბალაკისთვის გამართულ სატრანსფერო რბოლაში ორი იტალიური გრანდი, ტურინის „იუვენტუსი“ და „მილანი“ ჩაერთო. „მილანს“ ბალაკი ცენტრის გასაძლიერებლად სჭირდება, ხოლო თუ „იუვემ“ ფრანგი პირესი არ დაიმატა, მაშინ უპირველეს ყოვლისა, გერმანიის ყიდვას შეეცდება. „ბაიერნს“ უკვე ორივე კლუბის საქმიანმა ხალხმა მიაკითხაო — წერდა გუშინ „ლა გაძეტა დელო სპორტი“.

ნახევარმცველის მსურველთა სია ხსენებული გიგანტების გარეშეც ფრიად შთამბეჭდავი გახლდათ — ბალაკისთვის „ინტერი“ მადრიდის „რეალი“, „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ იბრძვიან. ინგლისური მედიის ცნობით, ბავარიელის მონადირების ყველაზე მეტი შანსი გლეიზერის „წითელ ეშმაკებს“ აქვთ, თუმც სხვა გრანდებიც არ ისხდებიან უქმად.

თავად ბალაკი, რომელსაც „ბაიერნთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდება, ჯერჯერობით ხელშეკრულების განახლებაზე უარს აცხადებს.

ლადო ხომერიკი

ალბერტო ჯილარდინომ კასანო არ გვჭირდებაო

ჯილარდინომ კასანოს მიუხურა

„მილანში“ მოყუჩებულმა ალბერტო ჯილარდინომ ანტონიო კასანოს შეუთვალა, ამ ზაფხულს ჩვენს გუნდში გადმოსვლაზე არც იოცნებოო. „რომას“ ფეხბურთელი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას უარობს, ორიოდ დღის წინ კი სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, კასანოს შეძენას არ გამოვრიცხავო.

„ანტონიო დიდებული მოთამაშეა და იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესოა — თქვა ჯილარდინომ — მაგრამ ვფიქრობ, მისი ადგილი „მილანში“ აღარ დარჩა, რადგან აქ ფორვარდები საკმარისზე მეტია“.

მილანელებს ამჟამად ოთხი შემტევი ჰყავთ: ანდრეი შევჩენკო, კრისტიან ვიერი, ფილიპო ინიაგი და ალბერტო ჯილარდინო.

იტალიის ჩემპიონატი ათ დღეში იწყება, ანტონიო კასანო კი კვლავ ჯიუტობს. „რომამ“ ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე თუ ვერ დაითანხმა, ურჩევნია, გაყიდოს, ოღრემ მომავალ ზაფხულს მის სანაცვლოდ გროშს ვერ მიიღებს.

ვაჟა ხუციშვილი

მილანმა აბიატი ბოდიშს მოაყოლა

პინტურიჩოს კიდევ სჯერა...

ჯანლუიჯი ბუფონს კრისტიან აბიატი შეცვლის

ჯანლუიჯი ბუფონის ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე თავიდან ჩანდა. როგორც ირკვევა, იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ კარის დარაჯს ოპერაცია სჭირდებოდა, რომელიც გუშინ გაიკეთა კიდევაც და ამიტომ სულ ცოტა სამი თვე მინდორზე ვეღარ ვიხილავთ.

„საბოლოო პროგნოზს ექიმები ოპერაციის შემდგომი დაწვრილებითი გამოკვლევის მერე გააკეთებენ. თუმცა უკვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჯიჯი სამი თვე დაგვაკლდება“ — ნათქვამია „იუვეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

მოგეხსენებათ, ბუფონი „მილანთან“ მატჩში კაკასთან შეჯახებისას დაშავდა. „როსონერიმ“ კიდევ ერთხელ მობოდიშების ნიშნად გადაწყვიტა, ტურინელებს თავიანთი მეკარე კრისტიან აბიატი დაუთმოს, რასაც „ბებერი ქალბატონი“ უკვე დათანხმდა. ასე რომ 28 წლის აბიატი ერთი წლით იუვენტუსელია, ხოლო სულ ცოტა სამი თვე „ბიანკონერის“ ძირითად გოლკიპერადაც მოგვევლინება.

„ეს იდეა კლუბის მფლობელ სილვიო ბერლუსკონისგან წამოვიდა. იმედია, ტურინელები დაგვთანხმდებიან. ლამაზი ჟესტი იქნება“ — თქვა გუშინ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„ბებერი ქალბატონის“ კაპიტანმა ალექს დელ პიერომ კი კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თავს კლუბის სათადარიგო მოთამაშედ არ თვლის. არადა, წინა სეზონს რომ მოვეშვათ, ამ ზაფხულსაც ამხანაგური მატჩების დიდ ნაწილს იგი სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა.

დელ პიერო: „მე ტრეზეგეს ან იბრაჰიმოვიჩის შემცვლელი არ ვარ. ყველაფერი სხვაგვარადაა. შეიძლება, ახლა ძირითადში ისინი თამაშობენ, მაგრამ ეს წინასასეზონო პერიოდია და ბუნებრივია, კაპელო გარკვეულ ექსპერიმენტებს ატარებს“.

„პინტურიჩო“ პრობლემას ვერც იმაში ხედავს, თუ „დელე ალპიზე“ ანტონიო კასანო გადავა: „ვამაყობ იმ ხანგრძლივი პერიოდით, რომელიც კლუბში გავატარე და იმედია, კიდევ დიდხანს ვითამაშებ. რაც შეეხება კასანოს, პრობლემას ვერ ვხედავ და პირადად ჩემთვის სანერვიულო არაფერია. თუმცა, როგორც პრესიდან გავიგე, ანტონიო „რომაში“ რჩება.

ბოლოს კი დელ პიეროს ეროვნულ ნაკრებში თერთმეტთვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებაზეც ჰკითხეს. 30 წლის ფეხბურთელს სჯერა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება.

„ძალიან მიხარია, რომ ნაკრებში დავბრუნდი. ბევრი გამიცდა, ტრავმების გამო სათანადო ფორმაში არ ვიყავი. ჩვენი მწვრთნელი მარჩელო ლიპი ყოველთვის პირდაპირი და ალალი იყო. იგი მეუბნებოდა, რომ მშვიდად ვყოფილიყავი და ბევრი მემუშავა, ხოლო როცა დრო მოვიდოდა, ისევ გამომიძახებდა და ასეც მოხდა. ახლა ჩემი ადგილისთვის ვიბრძოლებ, რათა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდე. ვფიქრობ, ამის კარგი შანსი მაქვს“ — დასძინა დელ პიერომ.

გიორგი კაკაბაძე

მორატი ძანეტის ვარჯიშზე



მასიმო მორატი

„ინტერის“ პატრონმა მასიმო მორატიმ მონაჩმახი უწოდა ცნობას კრისტიანო ძანეტის გაყიდვის შესახებ. იტალიური მედიის მტკიცებით, მისი შეძენა ტურინის „იუვენტუსს“ სურს, მაგრამ მორატი ამას უარყოფს: „კრისტიანო ძანეტი ის ფეხბურთელია, რომელიც ჩვენ გვჭირდება. მე ვნახე იგი ვარჯიშისას. გულიანად ირჯებოდა და არსად გავუშვებთ“.

ძანეტის გასხვისებაზე საუბარი იმიტომ დაიწყეს, რომ „ინტერთან“ კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში ეწურება და შესაძლოა, ისე წავიდეს გუნდიდან, „ნერო აძურიმ“ მის სანაცვლოდ ერთი ევროცენტიც ვერ მიიღოს. მასიმო მორატის აზრით კი, ნახევარმცველი სულ მალე გუნდთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

„მართალია, მხოლოდ ერთი წელი დარჩა ჩვენთან ყოფნისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გაყიდვას ვუპირებთ. პირიქით, გვსურს კიდევ დიდხანს შევინარჩუნოთ და ახალ, უკეთეს გარიგებას შევთავაზებთ“ — დასძინა მორატიმ.

ვაჟა ხუციშვილი

წაგებული და გაქურდული სერბია

სერბიის ნაკრებს კიევში „ლობანოვსკის თასზე“ პოლონეთთან გამართულმა მატჩმა ორმაგად დასწყვიტა გული. ჯერ იყო და თამაში მოწინააღმდეგის გამარჯვებით 3:2 დასრულდა, მერე კი უფრო უარესი — შეხვედრის შემდეგ ნაბრძოლ და ნაოფლარ სერბებს გასახდელი გაქიაქებული დაუხვდათ. მავან ადგილობრივ ბანდას ფეხბურთელთა ფული და ფასეული ნივთები უკვალოდ გაექრო. არადა, თითქოს ბალკანელთა გასახდელს სტადიონის დაცვიდან ზორბა კაცი სდარაჯობდა, თუმც ქურდების სტუმრობისას იგი სად დააბოტებდა, ღმერთმა უწყის... უკრაინელი ძალოვანები მოპარულ ფულის ზუსტ რაოდენობას ვერ ასახელებენ. სავარაუდოდ კი სერბებს 20 ათასამდე ევრო აწაპნეს. პოლონელთაგან დამარცხებული და კიეველთაგან გაქურდული სერბეთის ეროვნული გუნდი 3 სექტემბერს 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ მე-7 ჯგუფში ლიტვიის ნაკრებს ეთამაშება, ოთხი დღის მერე კი ბრძოლა ესპანეთთან მოუწევს.

ლადო ხომერიკი

მარადონამ პელე აცოქვა

მსოფლიოს ფეხბურთის ორი მეფე არგენტინული „კანალ 13"-ის ტელესტუდიაში შეხვდა ერთმანეთს და მათ ეკრანებს მიჯაჭვული ათიათასობით პატაგონიელი მაყურებლის წინაშე გვარიანად იხალისეს. დიეგო წამყვანის როლში მოგვევლინა და არც ისე ურიგო შოუმენობა გაწია — გადაცემის შემდეგ მოწვეული სტუმრები (გაბრიელ ბატისტუტა, გაბრიელა საბატინი, იტალიელი მსახიობი მარია კუჩინოტა და მომღერალი დიეგო ტორესი) ერთხმად აღნიშნავდნენ, მარადონა რა დიდებული მსახიობი ყოფილაო. რაც მთავარია, თავად პელემ განუცხადა არგენტინელს პროგრამის დასასრულს — „დიეგო, თავი ისე გიჭირავს, თითქოს ბალღობიდან მოყოლებული ტელეკამერის წინ ტრიალებდე..."

ეს ყველაფერი შემდეგ, გადაცემის მსვლელობისას კი სტუდიაში შეკრებილმა ხალხმა იქაურობა კინაღამ აპლოდისმენტებით დააქცია — შოუმენმა და მასპინძელმა მარადონამ ეკრანის წინ სტუმარ პელეს მოუხმო. „ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, მარადონასა და პელეს შორის შუღლი ყვითელი ჟურნალების მონაჭორია და მეტი არაფერი. მინდა, რომ ყველამ მეგობრებად ჩაგვთვალოს" — უთხრა ბრაზილიელმა ლეგენდამ პატაგონიელს.

„გულითადად გმადლობთ, აქ რომ მოხვედი. გპირდები, ამიერიდან ისე ახლოს ვიქნებით, როგორც არასდროს. არგენტინელებო, თქვენს წინაშეა პელე, რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარს!" — შესძახა დიეგომ და სწორედ ამას მოჰყვა დარბაზის ყოვლისმომცველი ოვაცია.

მიუხედავად ასეთი ძმაღნაფიცობისა, მეფეებმა მერე თუმცა ხუმრობით, მაგრამ მაინც უსიამოვნო ამბავი გაიხსენეს — „ერთი მითხარი, 90 წლის მუნდიალზე ბრაზილია — არგენტინის მატჩისას ბრანკოს წყლის მაგივრად ძილის წამალი რომელმა თქვენიანმა შეაჩეჩა?" — ჰკითხა დამხვდურს დუნასიმენტომ. „ეგ მე არ გამიკეთებია — მიუგო პატაგონიელმა. „თუმცა ის კი იცი, ვინც ჩაიდინა" — არ მოეშვა პელე. „მეგობარო, დანაშაულზე საუბრობენ, დამნაშავეზე კი არა" — „ძველბიჭურად" მოუჭრა დიეგომ და შემდეგ ასეთი რამ განაცხადა — „კი იყო რაღაც მაგდაგვარი, თუმც ბრანკოს მატჩიდან გამოთიშვას თამაშის შედეგზე არ მოუხდენია დიდი ზეგავლენა..."

მეფეები ერთ ხანს ერთმანეთს ეშმაკურად უყურებდნენ და მერე დიეგო არმანდომ დარბაზის მისამართით ვითომ დაღონებულმა ჩაილაპარაკა — „მიშველეთ, რა ვქნა, ეს კაცი სტადიონზე იავნანას სიმღერას და მეტოქეების დაძინებას მაბრალებს" — მაყურებელმა ამაზე მხიარული ტაში დასცხო. საფეხბურთო მონარქები კი ერთმანეთს გადაეხვივნენ...

იავნანისა რა მოგახსენოთ და პელემ ლამაზი ბრაზილიური სიმღერა კი იმღერა გიტარაზე. მერე დიეგოსთან ერთად წაიცეკვა კიდეც და ბოლოს სახელდახელოდ მოწყობილ პატარა მოედანზე თავბურთიც ითამაშეს. მოკლედ, გვარიანი ფიესტა გამოვიდა, რომლის დასასრულს ბრაზილიელმა მეფემ არგენტინელი კოლეგის შოუმენობა ზემონახსენები აღტაცებული სიტყვებით შეაქო.

მეფეთა პაემანი შედგა გადაცემაში — „საღამო ათიანთან ერთად". ამიერიდან წამყვანი მარადონა ყოველ ორშაბათს სახელგანთქმულ ხალხს მიიწვევს...

ლადო ხომერიკი

მარლე გამგელდა



სტივ მარლემ „ვოლფსბურგთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 31 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა „ფულემის" ძირითად შემადგნელობაში ადგილი დაკარგა და მწვრთნელმა კრის კოულმენმა წასვლის ნება მისცა.

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა (23 მატჩი) ოთხი წელი (1996-2000) „ოსერში" გაატარა, ორი სეზონი — „ლიონში", საიდანაც „ფულემმა" 12 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ შეიძინა. მაშინ ლონდონელებს ჟან ტიგანა წვრთნიდა და გუნდში ფრანგები ჰყავდა დახვავებული.

პირველ ინგლისურ სეზონში მარლემ კარგად ითამაშა, მერე კი უკლო. ტიგანას წასვლის მერე კრის კოულმენი დანიშნეს მწვრთნელად, რომელმაც სტივ მარლე „მარსელს" ორი წლით ათხოვა. ამ ზაფხულს „ფულემში" დაბრუნებული ფრანგი კოულმენმა სათადარიგოთა სკამზე დასვა და ფეხბურთელმაც პრემიერლიგიდან აიბარგა. მისი გადაბირება „ლილს", „ნანსს", „მანჩესტერ სიტის" და „ესპანიოლს" სურდათ, მაგრამ ნახევარმცველმა ბუნდესლიგა არჩია.

ვაჟა ხუციშვილი

ბელიონი ჩაქუჩებში



„მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი ფორვარდი დევიდ ბელიონი „ვესტ ჰემმა" ერთი წლით ითხოვა. ბელიონი გასული წლის ბოლოს დაშავდა და იანვრის შემდეგ აღარ უთამაშია, თუმც საზაფხულოდ გამოკეთდა.

„ის პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია — თქვა „ჩაქუჩების" მწვრთნელმა ალან პერდიუმ — ყოველთვის ისეთ ფეხბურთელებს ვარჩევ, რომლებიც ჩემი გუნდის სათამაშო ყაიდას მოერგებიან და ფანებს მოეწონებათ. ბელიონი სწორედ ასეთია".

საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი „მანჩესტერში" „სანდერლენდიდან" 2 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ ორი წლის წინ გადავიდა, 40-ჯერ ითამაშა და ცხრა გოლი მიითვალა.

მანჩესტერელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა: „ბელიონი 22 წლისაა და გამოცდილება აკლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ სეზონის შემდეგ კლასს კიდევ უფრო აიმაღლებს".

ვაჟა ხუციშვილი

ლიონს ოუენი უნდა, მადრიდს ფანტასტიკური თანხა



მაიკლ ოუენს „ლიონი" უმიზნებს

„რეალის" ალბიონელი გალაქტიკოსის მაიკლ ოუენის ბედი ნელ-ნელა ფრანგულ „ლიონს" უახლოვდება. მას შემდეგ, რაც ამ კლუბის ხაზინა მიშელ ესიენის გაყიდვით გვარიანად შეივსო, გალები „ჩელსისგან" აღებული 38 მილიონი ევროთი სასურველი მოთამაშის, ოუენის შეძენაზე იზრუნებენ. მადრიდული გრანდის თავკაცობა კი თავისი ფორვარდის გასხვისებას არ გამორიცხავს.

„ოუენის შეძენით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული, მათ შორის „ლიონიც". თუ რაიმე ფანტასტიკურ შემოთავაზებას მივიღებთ და მაიკლიც მადრიდიდან წასვლაზე თანახმა იქნება, სატრანსფერო გარიგებას ხელს არ შევუშლით" — განაცხადა „სამეფო კლუბის" ვიცეპრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ მავანი ესპანური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ინგლისური გაზეთები ოუენს სამშობლოში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ „ლიონის" მიერ „ფანტასტიკური შემოთავაზების" შემთხვევაში ექსლივერპულელი ვარსკვლავიჭუნა ალბათ მაინც საფრანგეთში გადაბარგდება. „მაიკლთან და მის ოჯახთან ახლაც მეგობრულ ურთიერთობას ვინარჩუნებ. ძალიან გამიხარდება, თუ იგი კვლავ ჩემი ფეხბურთელი გახდება" — ეს სიტყვები ჟერარ ულიეს, ფრანგული კლუბის მწვრთნელს ეკუთვნის, ვინც თავის დროზე „ლივერპულში" მაიკლის დამრიგებელი გახლდათ.

ლადო ხომერიკი

კანუტი სევილიას გოლს და სიხარულს ჰპირდება

ხუანდე რამოსის ესპანურ „სევილიას" ახალი ფორვარდი ჰყავს. „ტოტენჰემის" ექსფრიკელი ფრედერიკ კანუტი „სანჩეს პისხუანის" არენაზე 6,5 მილიონი ევროს ფასად გადავიდა და იქ მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში იბურთავებს.

კანუტი წარმოშობით მალიდანაა, ფიზიკურად ძალიან ძლიერია და სიმაღლის გამო (192 სმ) ინგლისურ პრემიერლიგაში მეტოქის მცველებს საჰაერო ბრძოლების დროს სისხლს უშრობდა. ამასთანავე ფრედერიკს ფრანგული პასპორტიც აქვს, რაც „სევილიაში" არაევროკავშირელთა ლიმიტის გამო პრობლემებს არ შეუქმნის.

„კარგია, რომ სათამაშოდ ამ გუნდში მოვედი. ესპანური ფეხბურთი ძალიან მომწონს, აქ ტექნიკურად და ლამაზად ბურთაობენ. იმედია, „სევილიას" ფანებს ჩემი გოლებით გახარების შანსი ბევრჯერ მიეცემათ" — განაცხადა ფრედერიკ კანუტიმ ოფიციალურ პრეზენტაციაზე.

ლადო ხომერიკი

უბრალოდ, ნახეთ და ისიამოვნეთ!

„მოდით ოკოჩას სანახავად. უბრალოდ, თქვენ უნდა მოხვიდეთ ოკოჩას სანახავად“ — ამგვარ ტრანსფარანტს ხშირად ნახავთ „ბოლტონის“ ქომაგების ხელში და ამაში გასაკვირი არაფერია. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჯეი-ჯეი ოკოჩა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოთამაშეა. მისთვის რამდენიმე მეტოქის ლამაზად ჩამოცილება სირთულეს არ წარმოადგენს, თუნდაც ეს კუთხურის ალამთან ხუთმეტრიან მონაკვეთში ხდებოდეს. უკვე მრავალი ვიდეოკოლაჟი არსებობს, რომელ ზედაც ოკოჩას ბრწყინვალე ფინტები თუ გოლებია აღბეჭდილი. ის, რომ იგი არცთუ ტიტულიანია, სრულებით არ აკნინებს მის კარიერას და ფეხბურთელობას.

14 აგვისტოს აუსტინ ჯეი-ჯეი ოკოჩა 32 წლის გახდა. ამასთან დაკავშირებით მასFIFA.COM-ის კორესპონდენტი გაესაუბრა და ჩვენც ქვემოთ ამ ინტერვიუს გთავაზობთ

— ჯეი-ჯეი, რა გახსენდებათ ადრეული ბავშვობიდან ფეხბურთთან დაკავშირებით?

— თამაში პატარაობიდანვე დავიწყე. ეს ჩემს მშობლიურ ქალაქ ენუგუში ხდებოდა. მაშინ უბრალოდ ვერთობოდი და ასეთ ბრწყინვალე კარიერაზე ვერც კი ვიოცნებებდი. ბურთის გორება სიამოვნებას მანიჭებდა. იმ დროს ნიგერიაში ფეხბურთი ასეთი პოპულარული არ იყო და ამიტომ პროფესიონალად ჩამოყალიბების ერთობ მცირე შანსი არსებობდა.

— ნიგერიის ამ პატარა ქალაქის ქუჩებიდან როგორ მოხვდით დიდ ფეხბურთში?

— ძალიან გამიმართლა. უმაღლესის დამთავრების მერე ადგილობრივ კლუბში ჩავირიცხე, რომელიც ნიგერიის პირველ დივიზიონში თამაშობდა. შემდეგ გადავწყვიტე, დიპლომის აღების აღსანიშნავად სადმე გავმგზავრებულიყავი და საბოლოოდ გერმანია ავირჩიე. იქ ჩემს ძმას ფეხბურთელი მეგობარი ჰყავდა, რომელიც ნიუნკირხენის „ბორუსიაში“ თამაშობდა.

ერთხელ ჩემი ძმის მეგობარს ვარჯიშზე გავყევი. მომზადების იქაური მეთოდები ძალიან მომეწონა და მწვრთნელს ვთხოვე, მინდორზე გასვლის უფლება ჩემთვისაც მოეცა. საბედნიეროდ, იგი დამთანმხდა. იმ დღის ბოლოს მან მთხოვა, კიდევ მივსულიყავი და შემდეგ გუნდშიც ამიყვანა.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ უკვე ფრანკფურტის „აინტრახტში“ ვიყავი, რომელიც ბუნდესლიგაში თამაშობდა. ეს ჩემს კარიერაში დიდი ნახტომი იყო. ერთი სიტყვით, გერმანიაში ჩასვლის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა.

— თქვენ გერმანიაში, თურქეთში, საფრანგეთსა და ინგლისში გითამაშიათ. რა ისწავლეთ ამ ქვეყნებისგან?

— ერთ-ერთი საუკეთესო, რაც ჩემმა კარიერამ მოიტანა მრავალი ენის ცოდნაა. ვფიქრობ, ამ ქვეყნებმა მე მხოლოდ როგორც ფეხბურთელი არ გამაუმჯობესეს, არამედ როგორც ადამიანიც. შევისწავლე სხვადასხვა კულტურა და ცხოვრებას უცხო თვალით შევხედე. რა თქმა უნდა, თამაშის სტილი ყველგან განსხვავებული იყო, თუმც ეს პრობლემა არ არის, ფეხბურთი მარტივი და უნივერსალური თამაშია.

— რომელიმე სხვა ქვეყანაში თამაშიც ხომ არ გინდათ?

— არა, ახლა არა. ჩემი აზრით, კარიერის შემდეგი ნაბიჯი ფეხბურთიდან წასვლა იქნება. გულწრფელად რომ გითხრათ, მინდოდა, სხვა ქვეყნების კულტურაც გამეცნო, მაგრამ უკვე ასაკიც თავისას შვრება. თანაც ჩემთვის ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანია.

— ოჯახი თქვენს კარიერაში და გადაწყვეტილებებში დიდ როლს თამაშობს?

— გადამწყვეტს. როცა ყველაფერი ცუდადაა, მხოლოდ ოჯახი გიდგას ბოლომდე გვერდზე. თანაც ოჯახურ სითბოს და სიყვარულს ვერაფერი შეცვლის. ასე რომ, ჩემთვის ეს უმთავრესია.

— რა არის „ბოლტონის“ მიზანი ამ სეზონში?

— ჩვენი მიზანი იგივეა — პრემიერლიგაში მე-6 ადგილი. თუ უფრო უკეთეს შედეგს მივაღწევთ, დიდი წარმატება იქნება, მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია. გუნდში ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გვყავს, ახლა კი ხარედ ბორგეტი და ჰიდეტოში ნაკატა დაგვემატნენ, რაც ერთიორად გაგვაძლიერებს.

— ხალხი თქვენს ტალანტსა და ტექნიკას ძალიან აფასებს. დღევანდელ ფეხბურთში კი ქომაგისთვის სიამოვნების მინიჭება რთული საქმეა.

— მართალია, ძნელია იპოვო ბევრი ისეთი მოთამაშე, რომელიც ქომაგს სიამოვნებას ანიჭებს. ადრეც ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. დღესდღეობით ინდივიდუალურ ტაქტიკასთან ერთად გუნდური სამუშაოა მთავარი. ადრე გუნდს 2-3 ლიდერი ჰყავდა და მათ თამაშების მოგება შეეძლოთ, ახლა კი თითეულ დეტალსა და კლუბის წევრს დიდი მნიშვნელობა აქვს.

— როგორ ფიქრობთ, ევროპაში გადმოსვლამ უკეთეს ფეხბურთელად გაქციათ?

— რასაკვირველია, სამშობლოში გასართობად ვთამაშობდი და იქ პროფესიონალი ვერასოდეს გავხდებოდი, ევროპაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. თანაც ფეხბურთი დიდი ბიზნესია. ეს საშუალებას გაძლევს, კლასი აიმაღლო და ცხოვრებაც გაიუმჯობესო. ყოველმხრივ უკეთესი ხდები. მიხარია, რომ სხვა ნიგერიელი მოთამაშეებიც ჩემსავით იქცევიან. ეს მათთვისაც უკეთესია და ზოგადად აფრიკისთვისაც.

— აკვირდებოდით ნიგერიის ნაკრების წარმატებას ცოტა ხნის წინანდელ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე?

— ცხადია! თანაც დაწვრილებით და დიდი ინტერესით. ძალიან მიხაროდა და მეამაყებოდა. გამოჩნდა, რომ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, რომლებსაც შეუძლიათ, ღირსეულად შეცვალონ ვეტერანები, მაგალითად, მე. იმედია, ისინი მოლოდინს გაამართლებენ.

— გაგაკვირვათ მათმა თამაშმა?

— სიმართლე გითხრათ, არა. ჩვენ ყოველთვის გვყავდა ნიჭიერი მოთამაშეები. სამაგიეროდ, ცოტა გამაკვირვა მწვრთნელმა სამსონ სიასიამ, რომელსაც ასევე ტალანტი აღმოჩნდა. ეს მისი კოლეგებისთვის მაგალითი იქნება და იმედია, მალე ბევრი კარგი სპეციალისტიც გვეყოლება. მჯერა, ნიგერიაში უკვე არის წარმატებისკენ მიმავალი გზისთვს საფუძველი.

ჯეი ჯეი ოკოჩა „ბოლტონის“ თავკაცი სემ ალარდაისს შემოასკუპდა

ცნობილი იური ჯორკაეფი და ჯეი ჯეი ოკოჩა

იტალია. სერია A. 2005–2006

2005 წელი

1-ლი ტური: 28 აგვისტო

ასკოლი : მილანი
ფიორენტინა : სამპდორია
ინტერი : ტრევიზო
იუვენტუსი : კიევო
ლაციო : მესინა
ლივორნო : ლეჩე
პარმა : პალერმო
რეჯინა : რომა
სიენა : კალიარი
უდინეზე : ემპოლი

მე-2 ტური: 11 სექტემბერი

კალიარი : ლაციო
კიევო : პარმა
ემპოლი : იუვენტუსი
ლეჩე : ასკოლი
მესინა : ფიორენტინა
მილანი : სიენა
პალერმო : ინტერი
რომა : უდინეზე
სამპდორია : რეჯინა
ტრევიზო : ლივორნო

მე-3 ტური: 18 სექტემბერი

კალიარი : მესინა
ფიორენტინა : უდინეზე
ინტერი : ლეჩე
იუვენტუსი : ასკოლი
ლაციო : ტრევიზო
ლივორნო : რომა
პარმა : ემპოლი
რეჯინა : კიევო
სამპდორია : მილანი
სიენა : პალერმო

მე-4 ტური: 21 სექტემბერი

ასკოლი : სიენა
კიევო : ინტერი
ემპოლი : კალიარი
ლეჩე : ფიორენტინა
მესინა : ლივორნო
მილანი : ლაციო
პალერმო : რეჯინა
რომა : პარმა
ტრევიზო : სამპდორია
უდინეზე : იუვენტუსი

მე-5 ტური: 25 სექტემბერი

კალიარი : რომა
ემპოლი : ლეჩე
ინტერი : ფიორენტინა
ლაციო : პალერმო
ლივორნო : ასკოლი
პარმა : იუვენტუსი
რეჯინა : უდინეზე
სამპდორია : კიევო
სიენა : მესინა
ტრევიზო : მილანი

მე-6 ტური: 2 ოქტომბერი

ასკოლი : პარმა
კიევო : ტრევიზო
ფიორენტინა : ლივორნო
იუვენტუსი : ინტერი
ლეჩე : კალიარი
მესინა : სამპდორია
მილანი : რეჯინა
პალერმო : ემპოლი
რომა : სიენა
უდინეზე : ლაციო

მე-7 ტური: 16 ოქტომბერი

ასკოლი : სამპდორია
კალიარი : მილანი
ემპოლი : რომა
ინტერი : ლივორნო
იუვენტუსი : მესინა
ლაციო : ფიორენტინა
პალერმო : კიევო
პარმა : ტრევიზო
რეჯინა : ლეჩე
სიენა : უდინეზე

მე-8 ტური: 23 ოქტომბერი

კიევო : კალიარი
ფიორენტინა : პარმა
ლეჩე : იუვენტუსი
ლივორნო : რეჯინა
მესინა : ასკოლი
მილანი : პალერმო
რომა : ლაციო
სამპდორია : სიენა
ტრევიზო : ემპოლი
უდინეზე : ინტერი

მე-9 ტური: 26 ოქტომბერი

ასკოლი : უდინეზე
კალიარი : ლივორნო
ემპოლი : მილანი
ინტერი : რომა
იუვენტუსი : სამპდორია
ლაციო : კიევო
პალერმო : ლეჩე
პარმა : მესინა
რეჯინა : ტრევიზო
სიენა : ფიორენტინა

მე-10 ტური: 30 ოქტომბერი

კიევო : ემპოლი
ფიორენტინა : კალიარი
ლეჩე : მესინა
ლივორნო : პარმა
მილანი : იუვენტუსი
რეჯინა : ლაციო
რომა : ასკოლი
სამპდორია : ინტერი
ტრევიზო : სიენა
უდინეზე : პალერმო

მე-11 ტური: 6 ნოემბერი

ასკოლი : ფიორენტინა
კალიარი : ტრევიზო
ემპოლი : რეჯინა
იუვენტუსი : ლივორნო
ლაციო : ინტერი
მესინა : რომა
მილანი : უდინეზე
პალერმო : სამპდორია
პარმა : ლეჩე
სიენა : კიევო

მე-12 ტური: 20 ნოემბერი

კიევო : ასკოლი
ფიორენტინა : მილანი
ინტერი : პარმა
ლეჩე : სიენა
ლივორნო : ემპოლი
რეჯინა : კალიარი
რომა : იუვენტუსი
სამპდორია : ლაციო
ტრევიზო : პალერმო
უდინეზე : მესინა

მე-13 ტური: 27 ნოემბერი

ასკოლი : პალერმო
კალიარი : სამდორია
ემპოლი : ლაციო
იუვენტუსი : ტრევიზო
ლივორნო : კიევო
მესინა : ინტერი
მილანი : ლეჩე
ფარმა : უდინეზე
რომა : ფიორენტინა
სიენა : რეჯინა

მე-14 ტური: 4 დეკემბერი

კიევო : მილანი
ფიორენტინა : იუვენტუსი
ინტერი : ასკოლი
ლაციო : სიენა
ლეჩე : რომა
პალერმო : კალიარი
რეჯინა : პარმა
სამპდორია : ემპოლი
ტრევიზო : მესინა
უდინეზე : ლივორნო

მე-15 ტური: 11 დეკემბერი

ასკოლი : რეჯინა
ფიორენტინა : ტრევიზო
ინტერი : მილანი
იუვენტუსი : კალიარი
ლივორნო : ლაციო
მესინა : კიევო
პარმა : სამპდორია
რომა : პალერმო
სიენა : ემპოლი
უდინეზე : ლეჩე

მე-16 ტური: 18 დეკემბერი

კალიარი : ასკოლი
კიევო : უდინეზე
ემპოლი : ფიორენტინა
ლაციო : იუვენტუსი
მილანი : მესინა
პალერმო : ლივორნო
რეჯინა : ინტერი
სამპდორია : რომა
სიენა : პარმა
ტრევიზო : ლეჩე

ალესანდრო დელ პიერო
სკუდეტოს მოპოვებას ხარობს

მე-17 ტური: 21 დეკემბერი

ასკოლი : ტრევიზო
ფიორენტინა : პარმა
ინტერი : ემპოლი
იუვენტუსი : სიენა
ლეჩე : ლაციო
ლივორნო : მილანი
მესინა : რეჯინა
პარმა : კალიარი
რომა : კიევო
უდინეზე : სამპდორია

2006 წელი

მე-18 ტური: 8 იანვარი

კალიარი : უდინეზე
კიევო : ლეჩე
ემპოლი : მესინა
ლაციო : ასკოლი
მილანი : პარმა
პალერმო : იუვენტუსი
რეჯინა : ფიორენტინა
სამპდორია : ლივორნო
სიენა : ინტერი
ტრევიზო : რომა

მე-19 ტური: 15 იანვარი

ასკოლი : ემპოლი
ფიორენტინა : კიევო
ინტერი : კალიარი
იუვენტუსი : რეჯინა
ლეჩე : სამპდორია
ლივორნო : სიენა
მესინა : პალერმო
პარმა : ლაციო
რომა : მილანი
უდინეზე : ტრევიზო

მე-20 ტური: 18 იანვარი

მილანი : ასკოლი
სამპდორია : ფიორენტინა
ტრევიზო : ინტერი
კიევო : იუვენტუსი
მესინა : ლაციო
ლეჩე : ლივორნო
პალერმო : პარმა
რომა : რეჯინა
კალიარი : სიენა
ემპოლი : უდინეზე

21-ე ტური: 22 იანვარი

ლაციო : კალიარი
პარმა : კიევო
იუვენტუსი : ემპოლი
ასკოლი : ლეჩე
ფიორენტინა : მესინა
სიენა : მილანი
ინტერი : პალერმო
უდინეზე : რომა
რეჯინა : სამპდორია
ლივორნო : ტრევიზო

22-ე ტური: 29 იანვარი

მესინა : კალიარი
უდინეზე : ფიორენტინა
ლეჩე : ინტერი
ასკოლი : იუვენტუსი
ტრევიზო : ლაციო
რომა : ლივორნო
ემპოლი : პარმა
კიევო : რეჯინა
მილანი : სამპდორია
პალერმო : სიენა

23-ე ტური: 5 თებერვალი

სიენა : ასკოლი
ინტერი : კიევო
კალიარი : ემპოლი
ფიორენტინა : ლეჩე
ლივორნო : მესინა
ლაციო : მილანი
რეჯინა : პალერმო
პარმა : რომა
სამპდორია : ტრევიზო
იუვენტუსი : უდინეზე

24-ე ტური: 8 თებერვალი

რომა : კალიარი
ლეჩე : ემპოლი
ფიორენტინა : ინტერი
პალერმო : ლაციო
ასკოლი : ლივორნო
იუვენტუსი : პარმა
უდინეზე : რეჯინა
კიევო : სამპდორია
მესინა : სიენა
მილანი : ტრევიზო

25-ე ტური: 12 თებერვალი

პარმა : ასკოლი
ტრევიზო : კიევო
ლივორნო : ფიორენტინა
ინტერი : იუვენტუსი
კალიარი : ლეჩე
სამპდორია : მესინა
რეჯინა : მილანი
ემპოლი : პალერმო
სიენა : რომა
ლაციო : უდინეზე

26-ე ტური: 19 თებერვალი

სამპდორია : ასკოლი
მილანი : კალიარი
რომა : ემპოლი
ლივორნო : ინტერი
მესინა : იუვენტუსი
ფიორენტინა : ლაციო
კიევო : პალერმო
ტრევიზო : პარმა
ლეჩე : რეჯინა
უდინეზე : სიენა

27-ე ტური: 26 თებერვალი

კალიარი : კიევო
პარმა : ფიორენტინა
იუვენტუსი : ლეჩე
რეჯინა : ლივორნო
ასკოლი : მესინა
პალერმო : მილანი
ლაციო : რომა
სიენა : სამპდორია
ემპოლი : ტრევიზო
ინტერი : უდინეზე

28-ე ტური: 5 მარტი

უდინეზე : ასკოლი
ლივორნო : კალიარი
მილანი : ემპოლი
რომა : ინტერი
სამპდორია : იუვენტუსი
კიევო : ლაციო
ლეჩე : პალერმო
მესინა : პარმა
ტრევიზო : რეჯინა
ფიორენტინა : სიენა

29-ე ტური: 12 მარტი

ემპოლი : კიევო
კალიარი : ფიორენტინა
მესინა : ლეჩე
პარმა : ლივორნო
იუვენტუსი : მილანი
ლაციო : რეჯინა
ასკოლი : რომა
ინტერი : სამპდორია
სიენა : ტრევიზო
პალერმო : უდინეზე

30-ე ტური: 19 მარტი

ფიორენტინა : ასკოლი
ტრევიზო : კალიარი
რეჯინა : ემპოლი
ლივორნო : იუვენტუსი
ინტერი : ლაციო
რომა : მესინა
უდინეზე : მილანი
სამპდორია : პალერმო
ლეჩე : პარმა
კიევო : სიენა

31-ე ტური: 26 მარტი

ასკოლი : კიევო
მილანი : ფიორენტინა
პარმა : ინტერი
სიენა : ლეჩე
ემპოლი : ლივორნო
კალიარი : რეჯინა
იუვენტუსი : რომა
ლაციო : სამპდორია
პალერმო : ტრევიზო
მესინა : უდინეზე

32-ე ტური: 2 აპრილი

პალერმო : ასკოლი
სამპდორია : კალიარი
ლაციო : ემპოლი
ტრევიზო : იუვენტუსი
კიევო : ლივორნო
ინტერი : მესინა
ლეჩე : მილანი
უდინეზე : პარმა
ფიორენტინა : რომა
რეჯინა : სიენა

33-ე ტური: 9 აპრილი

მილანი : კიევო
იუვენტუსი : ფიორენტინა
ასკოლი : ინტერი
სიენა : ლაციო
რომა : ლეჩე
კალიარი : პალერმო
პარმა : რეჯინა
ემპოლი : სამპდორია
მესინა : ტრევიზო
ლივორნო : უდინეზე

34-ე ტური: 15 აპრილი

რეჯინა : ასკოლი
ტრევიზო : ფიორენტინა
მილანი : ინტერი
კალიარი : იუვენტუსი
ლაციო : ლივორნო
კიევო : მესინა
სამპდორია : პარმა
პალერმო : რომა
ემპოლი : სიენა
ლეჩე : უდინეზე

35-ე ტური: 23 აპრილი

ასკოლი : კალიარი
უდინეზე : კიევო
ფიორენტინა : ემპოლი
იუვენტუსი : ლაციო
მესინა : მილანი
ლივორნო : პალერმო
ინტერი : რეჯინა
რომა : სამპდორია
პარმა : სიენა
ლეჩე : ტრევიზო

36-ე ტური: 30 აპრილი

ტრევიზო : ასკოლი
პალერმო : ფიორენტინა
ემპოლი : ინტერი
სიენა : იუვენტუსი
ლაციო : ლეჩე
მილანი : ლივორნო
რეჯინა : მესინა
კალიარი : პარმა
კიევო : რომა
სამპდორია : უდინეზე

37-ე ტური: 7 მაისი

უდინეზე : კალიარი
ლეჩე : კიევო
მესინა : ემპოლი
ასკოლი : ლაციო
პარმა : მილანი
იუვენტუსი : პალერმო
ფიორენტინა : რეჯინა
ლივორნო : კალიარი
ინტერი : სიენა
რომა : ტრევიზო

38-ე ტური: 14 მაისი

ემპოლი : ასკოლი
კიევო : ფიორენტინა
კალიარი : ინტერი
რეჯინა : იუვენტუსი
სამპდორია : ლეჩე
სიენა : ლივორნო
პალერმო : მესინა
ლაციო : პარმა
მილანი : რომა
ტრევიზო : უდინეზე

სარბიელი & კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		20 აგვისტო						
15:45	1	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.25	4.80	10.00	1.00	1.11	3.24
18:00	2	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	1.65	3.40	5.10	1.11	1.24	2.03
18:00	3	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:00	4	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	2.10	3.30	3.15	1.28	1.25	1.61
18:00	5	ბლექბერნი-ფულემი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
18:00	6	ჩარლტონი-უიგანი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
18:00	7	ლივერპული-სანდერლენდი	1.30	4.50	9.50	1.00	1.14	3.05
20:15	8	ბირმინგემი-სიტი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
		21 აგვისტო						
16:30	9	ბოლტონი-ევერტონი	2.10	3.30	3.15	1.28	1.25	1.61
19:00	10	ჩელსი-არსენალი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		20 აგვისტო						
18:00	11	ქოვენთრი-ქპრ	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
18:00	12	ქრიუ-ლესტერი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	13	კრ. პალასი-პლიმუთი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
18:00	14	დერბი-კარდიფი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
18:00	15	ჰალი-ბრაიტონი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
18:00	16	იფსვიჩი-უენსდი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
18:00	17	ლიდსი-ვულვერჰემპტონი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
18:00	18	რედინგი-მილუოლი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
18:00	19	შეფილდი-პრესტონი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
18:00	20	საუთჰემპტონი-ნორვიჩი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
18:00	21	სტოკი-ლუტონი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
18:00	22	უოტფორდი-ბარნლი	2.05	3.30	3.10	1.26	1.23	1.59
		ინგლისი. I ლიგა						
		20 აგვისტო						
18:00	24	ბარნსლი-იოვილი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
18:00	25	ბლეკპული-სუინდონი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
18:00	26	ბრენტფორდი-ტრანმერი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
18:00	27	ბრისტოლი-პორტ ვეილი	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
18:00	28	ჯილინგემი-ბორნმუთი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
18:00	29	ჰარტლპული-უოლსოლი	2.15	3.30	2.85	1.30	1.22	1.52
18:00	30	დონსი-კოლჩესტერი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
18:00	31	ნოტინგემი-სკანთორპი	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01
18:00	32	ოლდემი-ჩესტერფილდი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
18:00	33	როტერჰემი-ბრედფორდი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
18:00	34	საუთენდი-ჰადერსფილდი	2.45	3.30	2.50	1.40	1.23	1.42
18:00	35	სუონსი-დონკასტერი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
		ინგლისი. II ლიგა						
		20 აგვისტო						
18:00	36	ბარნეტი-მაკლსფილდი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
18:00	37	ჩელტენემი-ბოსტონი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
18:00	38	გრიმსბი-დარლინგტონი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
18:00	39	ლეიტონი-როჩდეილი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
18:00	40	ლინკოლნი-ოქსფორდი	2.05	3.30	3.10	1.26	1.23	1.59
18:00	41	პიტერბრო-მენსფილდი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
18:00	42	რაშდენი-ჩესტერი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
18:00	43	შრიუსბერი-ნორთჰემპტონი	2.75	3.30	2.25	1.50	1.23	1.33
18:00	44	სტოკპორტი-ნოტსი	2.25	3.30	2.80	1.33	1.24	1.51
18:00	45	ტორკი-როვერსი	2.15	3.30	2.85	1.30	1.22	1.52
18:00	46	რექსემი-კარლაილი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
18:00	47	უიკომბი-ბერი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		შოტლანდია						
		პრემიერლიგა						
		20 აგვისტო						
15:30	70	რეინჯერსი-სელტიკი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
18:00	71	ფოლკირკი-ჰიბერნიანი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
18:00	72	ჰართსი-აბერდინი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
18:00	73	ინვერნესი-კილმარნოკი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	74	ლივინგსტონი-დანფერმლაინი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	75	მოზერუელი-დანდი იუნაიტედი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		20 აგვისტო						
18:00	76	ბრეჩინი-ერდრი	1.95	3.50	3.00	1.25	1.18	1.61
18:00	77	დანდი-ქუინი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
18:00	78	როსი-ჰამილტონი	2.30	3.40	2.50	1.37	1.19	1.44
18:00	79	სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი	1.75	3.50	3.70	1.16	1.18	1.79
18:00	80	სტრანრარი-კლაიდი	2.20	3.40	2.70	1.33	1.21	1.50
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		20 აგვისტო						
18:00	81	ალოა-რეითი	2.20	3.40	2.60	1.33	1.19	1.47
18:00	82	ეარი-პიტერჰედი	1.85	3.60	3.40	1.22	1.19	1.74
18:00	83	გრეტნა-სტირლინგი	1.30	5.00	6.50	1.03	1.08	2.82
18:00	84	მორტონი-ფორფარი	1.40	4.30	5.50	1.05	1.11	2.41
18:00	85	პარტიკი-დამბარტონი	1.70	3.70	3.60	1.16	1.15	1.82
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		20 აგვისტო						
18:00	86	ალბიონი-სტენჰაუზმური	3.00	3.70	1.90	1.65	1.16	1.25
18:00	87	ისტ ფაიფი-მონტროუზი	2.60	3.60	2.10	1.50	1.16	1.32
18:00	88	ისტ სტირლინგი-არბროთი	5.00	3.80	1.50	2.15	1.15	1.07
18:00	89	ელგინი-კუდენბითი	2.35	3.50	2.40	1.40	1.18	1.42
18:00	90	ქუინზ პარკი-ბერიკი	2.35	3.40	2.40	1.38	1.18	1.40
		ავსტრია						
		ბუნდესლიგა						
		20 აგვისტო						
21:30	99	ადმირა-რიდი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
21:30	100	პაშინგი-ზალცბურგი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
21:30	101	რაპიდი-მატერსბურგი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
21:30	102	ტიროლი-აუსტრია	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
		21 აგვისტო						
21:30	103	შტურმი-გრაცერი	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
		ავსტრია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
21:00	104	ალტახი-გრატკორნი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	105	აუსტრია(მ)-ლეობენი	1.50	3.70	5.20	1.06	1.16	2.16
21:00	106	კაფენბერგი-კერნტენი	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
21:00	107	კუფშტაინი-ლინცერი	3.40	3.20	1.90	1.64	1.21	1.19
21:00	108	შვანენშტადტი-აუსტრია(ლ)	2.90	3.20	2.10	1.52	1.21	1.26
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		19 აგვისტო						
20:30	109	ქსამაქსი-თუნი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		20 აგვისტო						
20:30	110	ივერდონი-შაფჰაუზენი	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
21:30	111	ბაზელი-აარაუ	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
21:30	112	ვრასჰოპერი-სტ.გალენი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
21:30	113	იანგ ბოიზი-ციურიხი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		20 აგვისტო						
22:00	123	აიაჩო-ლე მანი	1.90	2.90	4.20	1.14	1.30	1.71
19:15	124	ბორდო-მონაკო	2.35	2.80	3.10	1.27	1.33	1.47
22:00	125	ლანსი-ოსერი	2.05	2.90	3.60	1.20	1.30	1.60
22:00	126	ლიონი-ნანსი	1.25	4.40	12.00	1.00	1.13	3.21
22:00	127	მეცი-სტრასბური	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
22:00	128	ნიცა-ნანტი	2.05	2.90	3.45	1.20	1.28	1.57
22:00	129	რენი-მარსელი	2.40	2.90	2.80	1.31	1.29	1.42
22:00	130	სოშო-ლილი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
20:00	131	ტულუზი-სტ.ეტიენი	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
22:45	132	ტრუა-პსჟ	3.20	3.10	2.15	1.57	1.28	1.26
		ბელგია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
22:30	153	სტანდარდი-სტ.ტრუიდენი	1.30	4.80	8.00	1.02	1.11	3.00
		20 აგვისტო						
20:00	154	ანდერლეხტი-ბეერსხოტი	1.20	5.40	10.00	1.00	1.07	3.50
22:00	155	ბევერენი-ლიერსი	2.45	3.30	2.50	1.40	1.23	1.42
22:00	156	ბრიუგე-რუხელარე	1.20	5.40	10.00	1.00	1.07	3.50
22:00	157	შარლერუა-მუსკრონი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
22:00	158	გენტი-სერკლი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
22:00	159	ვესტერლო-გენკი	2.45	3.50	2.40	1.44	1.21	1.42
22:00	160	ვარეგემი-ლუვიე	1.95	3.30	3.45	1.22	1.24	1.68
		21 აგვისტო						
20:00	161	ლოკერენი-ბრიუსელი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
22:30	162	ბრედა-ტილბურგი	1.85	3.40	3.55	1.19	1.21	1.73
		20 აგვისტო						
21:30	163	როზენდალი-აიაქსი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
21:30	164	ჰერენვენი-როდა	1.95	3.30	3.45	1.22	1.24	1.68
21:30	165	დენ ჰააგი-ჰერაკლესი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
22:00	166	ტვენტე-ნაიმეგენი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
		21 აგვისტო						
14:30	167	სპარტა-ფეიენოორდი	6.00	3.60	1.50	2.25	1:20	1.05

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:30	168	უტრეხტი-ალკმაარი	2.40	3.50	2.45	1.42	1.21	1.44
16:30	169	პსვ-ვიტესი	1.30	4.40	8.00	1.00	1.11	2.83
16:30	170	ვალვაიკი-გრონინგენი	1.95	3.40	3.35	1.23	1.23	1.68
		რუსეთი						
		20 აგვისტო						
15:00	218	დინამო-სპარტაკი	2.70	2.80	2.55	1.37	1.31	1.33
15:00	219	როსტოვი-მოსკოვი	3.10	2.90	2.25	1.49	1.30	1.26
		21 აგვისტო						
15:00	220	ალანია-სატურნი	2.00	3.00	3.50	1.20	1.27	1.61
15:00	221	ამკარი-რუბინი	2.90	2.70	2.50	1.39	1.34	1.29
15:00	222	ცსკა-ზენიტი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
15:00	223	ტერეკი-შინიკი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
15:00	224	ტომსკი-ტორპედო	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37
		დანია						
		სუპერლიგა						
		20 აგვისტო						
19:00	274	ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
		21 აგვისტო						
17:00	275	ესბიერგი-ჰორსენსი	1.45	4.10	6.00	1.07	1.16	2.43
17:00	276	მიდტიულანდი-ორჰუსი	1.55	3.70	5.40	1.09	1.20	2.19
17:00	277	ოდენსე-სიონდერიისკე	1.40	4.10	6.50	1.04	1.15	2.51
17:00	278	ოლბორგი-სილკებორგი	1.65	3.60	4.60	1.13	1.21	2.01
19:30	279	კოპენჰაგენი-ვიბორგი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
		შვედეთი						
		ალსვენსკა						
		20 აგვისტო						
18:00	294	იორგრიტე-მალმიო	2.85	3.30	2.20	1.52	1.24	1.32
		21 აგვისტო						
19:00	295	იურგორდენი-კალმარი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	296	ჰალმსტადი-გეფლე	1.70	3.40	4.60	1.13	1.24	1.95
		22 აგვისტო						
21:00	297	ჰელსინგბორგი-ლანდსკრონა	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
21:00	298	ჰეკენი-ჰამარბი	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
21:00	299	სუნდსვალი-ასირისკა	1.90	3.40	3.55	1.21	1.23	1.73
		შვედეთი. სუპერეტა						
		18 აგვისტო						
21:00	304	ფალკენბერგი-მიალბი	2.10	3.30	2.90	1.28	1.21	1.54
20 აგვისტო								
18:00	305	აიკ-ბრომაპოიკარნა	1.60	3.70	4.60	1.11	1.18	2.05
18:00	306	ატვიდაბერგი-ფრიიოლუნდა	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
21:30	307	დეგერფორსი-ნორჩიოპინგი	2.60	3.30	2.35	1.45	1.23	1.37
		21 აგვისტო						
19:00	308	გაის-იორებრო	2.45	3.30	2.50	1.40	1.23	1.42
19:00	309	იოსტერსი-ლიუნგსკილე	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
19:00	310	ტრელებორგი-ვესბი	1.90	3.40	3.30	1.21	1.20	1.67
19:00	311	ვესტეროსი-ბოდენსი	1.75	3.60	3.75	1.17	1.19	1.83

ფიქრული 1. თუქმეთი. 20 აგვისტო

10:00	1001	გამარჯვებული	მასა	70.00
10:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	4.20
10:00	1001	გამარჯვებული	ჰაიდფელდი	50.00
10:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	1.90
10:00	1001	გამარჯვებული	მ.შუმახერი	5.50
10:00	1001	გამარჯვებული	ტრული	15.00
10:00	1001	გამარჯვებული	რ.შუმახერი	30.00
10:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	25.00
10:00	1001	გამარჯვებული	ვებერი	45.00
10:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	60.00
10:00	1001	გამარჯვებული	კულტჰარდი	60.00
10:00	1001	გამარჯვებული	მონტოია	5.20
10:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	16.00
10:00	1001	გამარჯვებული	სატო	55.00
10:00	1001	გამარჯვებული	დორნბოსი	70.00
10:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	60.00
10:00	1001	გამარჯვებული	ვილნევი	60.00
10:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	60.00
10:00	1001	გამარჯვებული	კარტიკეიანი	60.00
10:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	40.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი						
		18 აგვისტო						
20:00	479	ჰაკა-ტურკუ	1.50	3.50	6.20	1.04	1.20	2.23
		ისლანდია						
		18 აგვისტო						
23:00	320	ვესტმანაეიარი-ურინდავიკი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
		ირლანდია						
		19 აგვისტო						
22:45	327	ბრეი-ჰერპსი	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
22:45	328	დერი-კორკი	2.40	3.00	2.75	1.33	1.28	1.43
22:45	329	დროგედა-უოტერფორდი	1.55	3.40	5.20	1.06	1.19	2.05
22:45	330	შემროკი-დუბლინი	2.15	3.10	2.95	1.26	1.24	1.51
23:00	331	შელბურნი-ბოჰემიანი	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57
		20 აგვისტო						
22:30	332	ლონგფორდი-სტ.პატრიკსი	1.75	3.20	4.00	1.13	1.21	1.77
		ესპანეთი. სუპერთასი						
		21 აგვისტო						
23:00	453	ბარსელონა-ბეტისი	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33
		იტალია. სუპერთასი						
		20 აგვისტო						
22:30	480	იუვენტუსი-ინტერი	2.35	3.00	2.90	1.31	1.29	1.47

CROCO BOOKMAKERS

ისარგებლეთ ჯროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.45	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	3.20	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11005	ბლექბერნი-ფულემი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.30
11006	ჩარლტონი-უიგანი	2.55	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11007	ლივერპული-სანდერლენდი	1.45	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11008	ბირმინგემი-სიტი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11009	ბოლტონი-ევერტონი	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11010	ჩელსი-არსენალი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.40	2.20	7.00	1.00	1.16	1.67
10002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	2.10	2.00	4.70	1.02	1.45	1.40
10003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	2.20	2.00	5.00	1.04	1.52	1.42
10004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	2.55	2.00	3.90	1.12	1.54	1.32
10005	ბლექბერნი-ფულემი	2.45	2.00	3.90	1.10	1.50	1.32
10006	ჩარლტონი-უიგანი	2.20	2.00	4.90	1.04	1.51	1.42
10007	ლივერპული-სანდერლენდი	1.45	2.30	7.00	1.00	1.20	1.73
10008	ბირმინგემი-სიტი	2.65	2.00	3.80	1.13	1.56	1.31
10009	ბოლტონი-ევერტონი	2.70	2.00	3.90	1.14	1.59	1.32
10010	ჩელსი-არსენალი	2.40	2.00	4.00	1.09	1.50	1.33

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი დაბრუნდა ჩაითვლება)

14001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.05	2.70
14002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	1.35	2.40
14003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.55	2.30
14004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	1.70	2.20
14005	ბლექბერნი-ფულემი	1.65	2.30
14006	ჩარლტონი-უიგანი	1.55	2.30
14007	ლივერპული-სანდერლენდი	1.08	2.90
14008	ბირმინგემი-სიტი	1.70	2.10
14009	ბოლტონი-ევერტონი	1.70	2.10
14010	ჩელსი-არსენალი	1.60	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.90	1.70
13002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	1.70	1.90
13003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.70	1.90
13004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	1.70	1.90
13005	ბლექბერნი-ფულემი	1.70	1.90
13006	ჩარლტონი-უიგანი	1.70	1.90
13007	ლივერპული-სანდერლენდი	1.90	1.70
13008	ბირმინგემი-სიტი	1.70	1.90
13009	ბოლტონი-ევერტონი	1.70	1.90
13010	ჩელსი-არსენალი	1.70	1.90

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.05	4.50
16002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	1.20	3.00
16003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.35	2.40
16004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	1.50	2.10
16005	ბლექბერნი-ფულემი	1.40	2.20
16006	ჩარლტონი-უიგანი	1.30	2.70
16007	ლივერპული-სანდერლენდი	1.04	4.50
16008	ბირმინგემი-სიტი	1.45	2.20
16009	ბოლტონი-ევერტონი	1.45	2.20
16010	ჩელსი-არსენალი	1.40	2.40

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	3.00	2.80	2.00
15002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	3.00	2.80	2.00
15003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	3.00	2.80	2.00
15004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15005	ბლექბერნი-ფულემი	3.00	2.80	2.00
15006	ჩარლტონი-უიგანი	3.00	2.80	2.00
15007	ლივერპული-სანდერლენდი	3.00	2.80	2.00
15008	ბირმინგემი-სიტი	3.00	2.80	2.00
15009	ბოლტონი-ევერტონი	3.00	2.80	2.00
15010	ჩელსი-არსენალი	3.00	2.80	2.00

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.85	1.95
17002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	1.85	1.95
17003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.85	1.95
17004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	1.85	1.95
17005	ბლექბერნი-ფულემი	1.85	1.95
17006	ჩარლტონი-უიგანი	1.85	1.95
17007	ლივერპული-სანდერლენდი	1.85	1.95
17008	ბირმინგემი-სიტი	1.85	1.95
17009	ბოლტონი-ევერტონი	1.85	1.95
17010	ჩელსი-არსენალი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12001	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.90	1.70
12002	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	1.90	1.70
12003	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.70	1.90
12004	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	1.70	1.90
12005	ბლექბერნი-ფულემი	1.70	1.90
12006	ჩარლტონი-უიგანი	1.70	1.90
12007	ლივერპული-სანდერლენდი	1.90	1.70
12008	ბირმინგემი-სიტი	1.60	2.00
12009	ბოლტონი-ევერტონი	1.70	1.90
12010	ჩელსი-არსენალი	1.60	2.00

ჰერბერტის ახლებური ხედვა

ირაკლი ბერიშვილი ბორმიოს ტურნირით კმაყოფილია

გუშინ თბილისში დაბრუნდა ეროვნული ნაკრების კანდიდატი ირაკლი ბერიშვილი, რომელმაც სასექტემბრო მატჩების 12-კაციან განაცხადში მოხვედრის შანსი დაკარგა. იტალიურ შეკრებაზე ეროვნული ნაკრების თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა 12 კალათბურთელი იახლა, რომელთაც იმდენი მოთამაშე უნდა გამოკლებოდა, რამდენი ლეგიონერიც (ცქიტიშვილი, ფაჩულია, უილიამსი) შეემატებოდათ „ხუთჯვაროსნებს". ჰოდა, ჰერბეტის ამქარს ჯერ მხოლოდ ფაჩულია შეემატა და კანადელმა მწვრთნელმაც ირაკლი ბერიშვილს სთხოვა, ბარგი ჩაელაგებინა. იქიდან გამომდინარე, რომ ბორმიოში ჩვენი ნაკრების წევრებს პრესასთან ურთიერთობა შეზღუდული ჰქონდათ, ბერიშვილთან გასაუბრება საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ დილიდან ბერიშვილის ფოტო

— დავიწყოთ იმით, რამდენად სამართლიანი იყო ჰერბერტი, როცა თბილისში გამოგიშვა...

— საპერტენზიო არაფერი მაქვს. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზარდული დამეჭიმა და სამი დღე ვერ ვივარჯიშე. ბულგარეთთან მატჩში არც კი გამომიცვლია.

— მხოლოდ შენ რატომ დაბრუნდი, იგეგმებოდა, რომ ნაკრებს იტალიური შეკრების შემდეგ სამი მოთამაშე გამოაკლდებოდა, რომლებსაც ლეგიონერები შეცვლიდნენ.

— ჯერ მხოლოდ ზაზა ფაჩულია ჩამოვიდა და ამიტომაც მარტო მე მომიწია თბილისში დაბრუნებამ.

— ზაზა გერმანიაში ჩავიდა?

— არა, ფაჩულია 15 აგვისტოს მილანის აეროპორტში დაგვხვდა და ფრანკფურტში გავფრინდით. გერმანიაში მე ერთი დღე დავრჩი ნაკრებთან და 16-ში თბილისში წამოვედი.

— რას იტყვი იტალიურ შეკრებაზე? პირობებით დავიწყოთ.

— იდეალურ პირობებში ვცხოვრობდით და ვვარჯიშობდით. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით და გვქონდა სამჯერადი კვება — ერთი სიტყვით, არაფერი გვაკლდა.

— შენ დრაჟენ ბრაიკოვიჩის ნაკრებშიც ვარჯიშობდი და დიდი სხვაობაა მისსა და გორდონ ჰერბერტის ვარჯიშებს შორის?

— განსხვავება არის და თუ რამხელაა ის, სექტემბრის მატჩები გვიჩვენებს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჰერბერტს სრულიად განსხვავებული შეხედულება აქვს კალათბურთზე, ვიდრე ბრაიკოვიჩსა და ნაკრებში მის წინამორბედებს ჰქონდათ. ჰერბერტი დაცვაზეა ორიენტირებული და თამაშსაც ამ რგოლზე აწყობს.

— მერე რამე მიღწევა თუ ჰქონდა, ორ კვირაზე მეტია, გუნდს ავარჯიშებს...

— რა თქმა უნდა, გარკვეული წინსვლა იყო, თუმც ამ კითხვას უკეთ ფინეთთან და მაკედონიასთან გასამართი მატჩები გასცემს პასუხს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჩვენ კალათბურთელებს საქართველოში სულ სხვანაირად აქვთ დაცვაში თამაში ნასწავლი, ჰერბერტის სქემა და მომზადების სპეციფიკა კი სრულიად განსხვავებულია. მოთამაშეებს გაუჭირდებათ ახალი დაცვით სტილზე გადასვლა. აკი ვთქვი ჰერბერტი სულ სხვა თვალით უყურებს კალათბურთს.

— ბორმიოს ტურნირზე რას იტყვი?

— პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ვნახე თურქეთისა და იტალიის ნაკრები თავისი ყველა ვარსკვლავით. მათთან თამაში ერთი სიამოვნებაა. რაც შეეხება მატჩებს, ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ძალიან გაგვიჭირდა. მართალია, მოსამზადებელი თამაშები იყო, მაგრამ მაინც მგონია, რომ მეტის ჩაგდება შეგვეძლო. შეტევაში ვერ ვივარგეთ, თუმც ეს არაა გასაკვირი, რადგან მწვრთნელი დაცვაზე იყო ორიენტირებული.

— ჰერბერტი ვის უფრო ენდობოდა ამ მატჩებში?

— ყველამ ითამაშა — ზოგმა ბევრი, ზოგმაც ცოტა. ჰერბერტმა ყველას მისცა თავის გამოჩენის შანსი და ვინ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ვერ გეტყვით. პირადად მე ყველაზე მეტად დავით იმნაძის თამაში მომეწონა იტალიასთან. ის არ შეუშინდა ცნობილ ვარსკვლავებს და 13 ქულაც მოაგროვა.

— თურქეთთან მატჩში სერიოზული ჩხუბი მოხდა?

— არა, მცირე ინციდენტი იყო, რომლის მსგავსსაც თითქმის ყოველ მეორე მატჩში ნახავთ საქართველოს ჩემპიონატში. შიო ხეცურიანს ბურთი ესროლა თურქმა და ამანაც ხელი ჰკრა — ეგ იყო და ეგ. მერე დაწყნარებამ წაიღო დრო და მოედანზე სათადარიგოები შემოვიდნენ. მწვრთნელმა თქვა, აღარ ღირს თამაშის გაგრძელებაო და სირენამდე წუთით ადრე მატჩი შეწყდა.

— ნაკრებს შემონდ უილიამსი და ნიკოლოზ ცქიტიშვილი რიდის შეუერთდებიან?

— ნამდვილად არ ვიცი. ისე კი, ბრუნშვაიგის ტურნირზე, რომელიც 27 აგვისტოს დაიწყება, ორივენი აუცილებლად იქნებიან. ყოველ შემთხვევაში ნაკრებში ასე ამბობენ.

ირაკლი პერტაია

ედი ჯონსი

ედი ჯონსი ვოლაბებს საქურციკედ ამზადებს

ავსტრალიამ შაბათს პერთში სამხრეთ აფრიკის ნაკრები უნდა მიიღოს და მიუხედავად იმისა, რომ სამ ერზე გაპირველების შანსი მოგების შემთხვევაშიც კი საკმაოდ მცირე ექნება, მწვრთნელი ედი ჯონსი ძალ-ღონეს არ იშურებს და ცდილობს, გუნდი კრიზისიდან გამოიყვანოს.

სამხრეთ აფრიკელ „ქურციკთა" რიგებში ცვლილებები არ არის, „ვოლაბთა" თავკაცმა კი მნიშვნელოვანი გადაადგილებები გააკეთა.

ბრენდან ქენონი, ფილ ვუ და ელტონ ფლეტლი სეზონში პირველად იქნებიან სასტარტო განაცხადში. ნაკრებში ასევე როკი ელსომსაც უხმეს, რომელსაც სანაკრებო დებიუტი წელს ჰქონდა და პირველ 5 ტესტ-მატჩშიც უთამაშია. როკი ჯონ როს ადგილს დაიკავებს ფლანკერის პოზიციაზე, 7-ნომრიან მაისურს კი ფილ ვუ მოირგებს.

ქენონი ტრავმირებული ჯერემი პოლის ნაცვლად ჰუკერად დადგება და წინა ხაზში ბილ იანგს და ალ ბაქსტერს შეუამხანაგდება. მის შემცვლელად სათადარიგოთა სკამზე სტივენ მური ამოყოფს თავს.

მეტ ჟიტო ათნომრიან მაისურას ელტონ ფლეტლის გადაულოცავს, თვითონ კი ცენტრში ტურინუისთან შეთამაშებას შეეცდება.

დრიუ მიტჩელი „შავებთან" თამაშისას კარგად რომ უკანახაზელობდა, ამის გამო სამხრეთ აფრიკასთანაც ექნება პატივი 15 ნომრად მოგვევლინოს. თავის ადგილს ფრთაზე მარკ ჯერარდიც შეინარჩუნებს.

ტრავმამოშუშებული მეტ როჯერსი სათადარიგოებში გამოერევა, სადაც სხვებთან ერთად კლაიდ რეთბოუნი და კრის ვაითეკერიც იქნებიან.

„ცვლილებები, რომელთა გაკეთებაც მოგვიხდა, ძირითადად ტრავმირებულ მორაგბეთა სიმრავლითაა განპირობებული. სხვა მხრივ კი გუნდი მშვენივრად არის მომზადებული. განსაკუთრებით ბოლო სამი დღეა, რაც ინტენსიურად ვივარჯიშეთ. მეტ როჯერსმა 2 დღის წინ დაიწყო ვარჯიში და ტრავმა აღარ აწუხებს. დრიუ მიტჩელი და მარკ ჯერარდიც კარგ ფორმაში არიან, თავად როჯერსი კი სათადარიგოთა სკამზე იჯდება, ის და კლაიდ რეთბოუნი სრულფასოვანი შეცვლების გაკეთების საშუალებას მოგვცემენ. ჟიტომაც შეძლო ფორმაში ჩადგომა და კვლავ სასტარტოშია, მაგრამ ამჯერად 10 ნომერზე ფლეტლის გავამწესებთ" — ასეთი კომენტარი გააკეთა ედი ჯონსმა, თუმც აშკარაა, რომ დაშავებულთა პრობლემა სრულად მაინც არ არის გადაწყვეტილი. საშაბათო შეხვაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ვენდელ სეილორი, სტივენ ლარქემი, ჯერემი პოლი, კრის ლათამი და სტერლინგ მორტლოკი.

განაცხადი ასე გამოიყურება.

დრიუ მიტჩელი, მარკ ჯერარდი, მორგან ტურინუი, მეტ ჟიტო, ლოუთ თუქირი; ელტონ ფლეტლი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); დევიდ ლაიონსი, ფილ ვუ, როკი ელსომი, ნათან შარპი, დენიელ ვიკერმანი, ალ ბაქსტერი, ბრენდან ქენონი, ბილ იანგი

სათადარიგოები: სტივენ მური, მეტ დანინგი, მარკ ჩიშოლმი, ჯორჯ სმიტი, კრის ვაითეკერი, კლაიდ რეთბოუნი, მეტ როჯერსი

23-ე კაცი: ჯონ რო

ლადო ფულუკიძე

რეკორდი ნადალის გასაიმასქნებლად

ფასკუნჯი კბილამ დაკოდა

ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘᲡᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲪᲘᲜᲪᲘᲜᲐᲢᲘ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐᲤᲐᲠᲘ.
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 2,2 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ $

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲗᲝᲛᲐᲨ ᲑᲔᲠᲓᲘᲮᲘ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) — **ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ** (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) 6:7 (4:7) 6:2 7:6 (7:3); **ᲚᲔᲘᲢᲝᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲘ** (3, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) — **ᲘᲒᲝᲠ ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘ** (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 6:3 6:4; **ᲛᲐᲠᲐᲢ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ** (4, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — **ᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲜᲘᲮᲘ** (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) 7:6 (7:3) 6:4; **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲩᲘ** (6, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — **ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲒᲠᲝᲢᲐᲜᲘ** (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 7:6 (7:4) 7:5; **ᲗᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲘᲓᲝ** (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — **ᲒᲐᲡᲢᲝᲜ ᲒᲐᲣᲓᲘᲝ** (8, ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ) 2:6 6:3 6:3; **ᲠᲝᲑᲘ ᲯᲘᲜᲘᲔᲠᲘ** (ᲐᲨᲨ) — **ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲞᲣᲔᲠᲢᲐ** (10, ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ) 7:6 (7:2) 6:1; **ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙ ᲰᲠᲑᲐᲢᲘ** (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ) — **ᲗᲝᲛᲐᲡ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ** (13, ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) 6:1 7:5; **ᲞᲝᲚ-ᲐᲜᲠᲘ ᲛᲐᲗᲘᲝ** (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — **ᲗᲝᲛᲘ ᲰᲐᲐᲡᲘ** (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) 6:3 2:6 6:1; **ᲑᲠᲔᲓ ᲠᲣᲖᲔᲪᲙᲘ** (ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) — **ᲓᲛᲘᲢᲠᲘ ᲢᲣᲠᲡᲣᲜᲝᲕᲘ** (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 4:6 7:5 6:4; **ᲝᲜᲓᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲘ** (ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) — **ᲢᲐᲘᲚᲝᲠ ᲓᲔᲜᲢᲘ** (ᲐᲨᲨ) 7:6 (7:4) 7:6 (7:1); **ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲘᲐ** (ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ) — **ᲙᲡᲐᲕᲘᲔ ᲛᲐᲚᲘᲡᲘ** (ᲑᲔᲚ�გᲘᲐ) 6:4 6:4

ᲗᲝᲛᲐᲨ ᲑᲔᲠᲓᲘᲮᲘ

19 ᲬᲚᲘᲡ მალიორკელი ფასკუნჯი რაფაელ ნადალი სხვებივით მოწყვლადი მეჩოგნე რომ არის, ამაში — ჩვენო მადლიერო მკითხველო — ამ რამდენიმე დღის წინ მონრეალობის ნახევარფინალშიც დარწმუნდით.

ის ნახევარფინალი წლეულს უკვე ცხრა ტიტულის მომხვეჭმა რაფაბიჭმა სეტისწაუგებლად მოიგო, თუმცა მის იმდღევანდელ მეტოქეს, 22 წლის ფრანგ ჰოლ-ანრი მათიოს გადამწყვეტ მომენტებში მეტი აუღელვებლობა რომ გამოეჩინა, ფინალში ანდრე აგასის სწორედ ის შეხვედებოდა.

მაგრამ ჩვენ არა ერთგზის გვითქვამს, რომ ჩვენი მიმოხილვები არა კავშირებით, არამედ თხრობით კილოში იწერება და მთავარიც სწორედ ისაა, თუ ვინ მოახერხა გადამწყვეტი ქულების მითვლა.

ამ რამდენიმე დღის წინ უდავოდ ნიჭიერმა ფრანგმა მეჩოგნემ, რომელმაც მთელი მატჩი მეტოქეზე მრავალფეროვნად, აგრესიულად და შემოქმედებითად ჩაატარა, სწორედ საბედისწერო გათამაშებებში ვერ იკარგა.

არანაკლებ ნიჭიერმა ჩეხმა ჩოგბურთელმა კი, ვინაც ნადალის კბილაა, მას სიყრმიდან იცნობს და მაგარსაფარზე ბურთაობაც მასზე უკეთ ეხერხება, იმ დღეს სწორედ მაშინ აიშვა, როცა ასაშვები იყო კიდეც და — ცინცინატობას ვინ ჩივის — ბოლო პერიოდის უმთავრესი სენსაციაც გამოკვერა.

ბერდიხი კორტიდან მეტრსა და 93 სანტიმეტრს აითვლის, რიგიანი მოწოდება აქვს და იმ დღეს ნადალსაც სწორედ ისე ეთამაშა, როგორც რომ საჭირო იყო — ანუ აგრესიულად, მიძალებით და კუთხეში მიმწყვდევად.

ასეთ დროს კი ნიჭითა და კუნთებით დატენილი მუჩაჩო ერთობ ქარიზმადაკარგულად გამოიყურება, რაკიღა ჯიშად მეთიხნარეს სწრაფკორტი ჯერაც ვერ დაუმუღამებია და ფონს გასვლას აქაც ისევე ცდილობს, როგორც თიხნარზე — ანუ ხანგრძლივი და მომქანცველი განდაგანებით. მაგრამ ჰარდკორტი იმის საშუალებას იძლევა, რომ მთელი ამბავი უცებ, ორიოდ მადლიანი დარტყმით მოთავდეს და მეტოქის ასეთი გარჯისას ნადალი ისეთივე უსუსური სანახავია, როგორც მისგან თიხნარზე გაბითურებული მეჩოგნეები.

ანუ რაფაბიჭის სწრაფკორტზე დამარცხების რეცეპტი ასეთია — მიეძალე და ყველა თუ არა, შანსების უმრავლესობა მაინც გამოიყენე! ჰოლ-ანრი მათიომ გასულ შაბათს ამის გაკეთება ვერ შეძლო, ბერდიხმა კი ეს გამოცდა ხუთიანზე ჩააბარა.

იმაზე, რომ შეხვედრა სწორედ მას მიჰყავდა, შემდეგი სტატისტიკაც მოწმობს — 17 სექტემბერს გასაოცწლისებელმა ჩეხმა 45-ჯერ უნებლიედ მიჰქარა და 70 გათამაშება სუფთა დარტყმით მოიგო, მაშინ როცა 3 ივნისს გაცხრამეტწლისებულმა ნადალმა, მართალია, მხოლოდ 20 შეცდომა დაუშვა, მაგრამ სუფთადაც ოდენ 41 ბურთი დააყუმბარა.

ბერდიხის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ გადამწყვეტი სეტის მე-12 გეიმზე, როცა თავად აწოდებდა, მან ნადალს სამი მატჩბურთი გაუარაფრა. ესპანელი კი სწორედ ბოლო მომენტში ანერვიულდა და ტაიბრეიკზე ორჯერ ორმაგად მიჰქარა კიდეც.

ერთი სიტყვით, ამ თითქმის სამსაათიანი შეხვედრის შედეგს საქმეში ჩახედული მილეთი არ გაუკვირვებია. ამიტომ, ზევით სიტყვა „სენსაცია“ რომ ვახსენეთ, ეს ერთგვარად გადაჭარბებაც კი გახლავთ, რადგანაც არაფერი სენსაციური იმაში, რომ ჯიშად მესწრაფკორტე ბიჭმა ჯიშად მეთიხნარე თანატოლი ცინცინატური ჰარდიდან აოტა, არც არაფერია.

სხვათა შორის, ამათ პირველად წლეულს, ნაუმბლდონევს ბასტადურ თიხნარფინალში ითამაშეს და იქ ნადალმა თუმცა სამსეტიან ბრძოლაში, მაგრამ მაინც გაუსაჩივრებლად იმარჯვა 6:2 2:6 6:4.

„მე მას დიდი ხანია ვიცნობ — ამბობდა ნაფინალევს ბერდიხი — პირველად მაშინ ენახე, თორმეტის რომ ვიყავი. ასე რომ ერთმანეთის ავან-ჩავანიც კარგად ვიცით და სათამაშო სტილიც. ის უფრო ხანგრძლივ განდაგანებს არჩევს, მე კი მძლავრი მოწოდების მერე საქმის უმალ მოყომარება მირჩევნია. ბასტადურ თიხნარზე იმისამ გაჭრა, აქაურ მაგარსაფარზე კი — ჩემმა.“

ნადალი კი ნამატჩევს სათამაშო ბადის უკეთურობას უჩიოდა, ამ ბიჭთან რაღა ამ პირველ წრეში გადამყარაო. მერე კი იმასაც დასძენდა, ცოტა არ იყოს დაღლილი ვარო.

და მართლაც — არ არის გასაკვირი, რომ საწინაკვირაო მონრეალობის მერე, სადაც მან კარიერის პირველი სამაგარსაფრო ტიტული მოიმკა, ოდნავ მოღლილიც ყოფილიყო. ამიტომ, უმორჩილესი თხოვნაა, მის დამარცხებას მაინცდამაინც ბერდიხისაც ნუ დაეკისრებთ. [illegible] მცა ნადალის აზრით, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, ამ ჩეხ ბიჭს მალე ამქრის ზეათეულშიც ვიხილავთ.

სხვაფრივ — წინა კვირაში გასტროენტერიტის გამო ნაუქმარი ლეიტონ ჰიუიტი კორტს ლაღად მოუბრუნდა და რუს იგორ ანდრეევს ისე ფაიზალად გაუსწორდა, მხოლოდ მას რომ ჩოგანეწიფება.

„მაშინ ძალიან ცუდად ვიყავი — ამბობდა 2002 და 2004 წლების ფინალისტი მერე ერთიკვირისწინანდელ ამბავზე — იმ მდგომარეობიდან გამოსვლა მაგრად გამიჭირდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა და ჩემს სათულფე საფარზეც თავს ახლა ძალიან კარგად ვგრძნობ.“

ჰიუიტის გარდა საქმეში ჩახედული ხალხი ინტერესით შეეგება უიმბლდონის მერე მუხლის ტრავმის გამო ნაუქმარ მარატ საფინსაც. რუსია ბოლამ უსახელო ჩეხ ჰერნიხს ისე აჯობა, თავის უპირატესობაში არც მეტოქე დაუეჭვებია და არც მის თამაშს დადარავდებული მასმედიაც.

„მუხლის ტრავმა ჯერაც თავში მაქვს — ამბობდა მერე საფინი — თუმცა თავი იქით იყოს, თვითონ მუხლიც ჯერ ბოლომდე არ მოშუშებულა. მაგრამ პირველი გეიმების მერე, როცა ვიგრძენი, რომ ტკივილი არც ისეთი გაუსაძლისია, ცოტა დილიხორზე მოვედი. იმედია, მერე და მერე ყველაფერი უფრო კარგად იქნება.“

საფინის ამ იმედს ჩვენც ენიუზიაზმით ვუერთდებით, რადგანაც გვსურს, სა-ამ-აშშ-ის-ღია-პირველობა სამზადისისას დასტურ ბარაჯანი ჩოგნაობა ვიხილოთ.

ROGERS CUP

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐᲤᲐᲠᲘ.
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 1,3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ $

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲚᲘ ᲜᲐ (ᲩᲘᲜᲔᲗᲘ) — **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ** (11, ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ) 6:4 5:7 6:2; **ᲬᲔᲜ ᲫᲘ** (ᲩᲘᲜᲔᲗᲘ) — **ᲛᲐᲠᲘᲐ ᲔᲛᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲚᲔᲠᲜᲘ** (ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ) 6:3 6:4; **ᲜᲐᲢᲐᲚᲘ ᲓᲔᲨᲘ** (10, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — **ᲤᲐᲕᲘᲝᲚᲐ ᲡᲣᲚᲣᲐᲒᲐ** (ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ) 6:2 6:4; **ᲐᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ** (12, ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ) — **ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲒᲐᲠᲑᲘᲜᲘ** (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) 6:2 7:5 (7:3); **ᲙᲝᲜᲩᲘᲢᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲔᲡᲘ** (ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ) — **ᲐᲜᲐ-ᲚᲘᲜᲐ ᲒᲠᲘᲝᲜᲔᲤᲔᲚᲓᲘ** (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) 6:1 6:7 (1:7) 7:5

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲘᲡᲛᲝ (2, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — **ᲓᲐᲚᲘ ᲠᲐᲜᲓᲠᲘᲐᲜᲢᲔᲤᲘ** (ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘ) 6:2 6:3; **ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲐ** (2, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — **ᲐᲜᲐᲑᲔᲚ ᲛᲔᲓᲘᲜᲐ �გᲐᲠᲘᲒᲔᲡᲘ** (ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ) 2:6 7:5 6:4; **ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ** (5, ᲐᲨᲨ) — **ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘ ᲙᲝᲜ-ᲐᲚᲝᲠᲝ** (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ)

ᲚᲔᲘᲢᲝᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲘ

ᲛᲐᲠᲐᲢ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ

ბეგი დარჩია: ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ბაკურიანის შეკრებით ივლისის ბოლოს დაიწყო, ბოლო ათი დღე კი თბილისში, ფალავანთა კლუბში ივარჯიშა და გუშინ პოლონეთში გაემგზავრა. 20-21 აგვისტოს გასამართ კრაკოვის საერთაშორისო ტურნირს სპეციალისტები არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატადაც ნათლავენ, რადგან იქ მსოფლიოზე წამსვლელი შემადგენლობები იყრიან თავს. ქართული გუნდი კი დაკომპლექტების პროცესშია. მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. სასექტემბრო სამზადისზე, ნაკრების კანდიდატთა საბრძოლო ფორმასა და პოლონურ ტურნირზე დარჩიას ინტერვიუ პოლონეთში გამგზავრებამდე ჩამოვართვით.

— მსოფლიო პირველობა ბუდაპეშტში სექტემბრის ბოლოს იწყება. მისთვის მოსამზადებელი ციკლი ორი თვით ადრე დავიწყეთ. პირველი შეკრება ბაკურიანში გავმართეთ და თექვსმეტი დღე მხოლოდ ფიზმომზადებას დავუთმეთ.

— ნაკრები ტექნიკურ-ტაქტიკურად ჯერ მოუმზადებელია. ასეთ პირობებში პოლონეთის ტურნირზე ჭიდაობა რატომ გადაწყვიტეთ?

— ის რომ ხალიჩაზე ვარჯიში გვაკლია, ბევრს არაფერს ნიშნავს. მსოფლიოს ჩემპიონატამდე თვეზე მეტი რჩება და ბიჭებმა თავისი ფორმის პიკს სწორედ სექტემბრის ბოლოს უნდა მიაღწიონ. ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის. პოლონეთის ტურნირიც მაქსიმალურად პროდუქტიულად უნდა გამოვიყენოთ. მასში მონაწილეობა სატურნირო პრაქტიკის გასახსენებლად და ახალ წესებთან შესაგუებლად გადავწყვიტეთ. თბილისის ტურნირის შემდეგ ნაკრების წევრებს არსად უჭიდავიათ და ხალიჩაზე გასვლა მართლა ჰაერივით სჭირდებათ.

— პოლონეთში რა დონის ტურნირი გელით?

— როგორც ვიცი, მასზე ჩასვლას 40-45 ქვეყნის ნაკრები გეგმავს. ალბათ უძლიერესი შემადგენლობებით, რადგან ჩემპიონატის წინ სტარტი ყველას სჭირდება.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენც საპოლონეთე შემადგენლობის წაყვანას გეგმავთ?

— ბუდაპეშტში წასაყვანი შვიდეული უკვე თითქმის ცნობილია. ერთადერთი თავისუფალი წონა 84 კილოგრამია. მუხრან ვახტანგაძეს, ბადრი ხასაიასა და თედო კუპატაძეს მსოფლიოს გუნდში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვთ, ამიტომ პოლონეთში სამივეს მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება. ირაკლი ჭოჭუას (55 კგ), მუხრან მაჭუტაძის (66 კგ), მანუჩარ კვირკველიას (74 კგ), რამაზ ნოზაძისა (96 კგ) და მირიან გიორგაძისთვის (120 კგ) კი კრაკოვის ტურნირი მსოფლიოსწინა რეპეტიცია იქნება. მათ გარდა ბუდაპეშტში ჭიდაობა თითქმის განაღდებული აქვს დავით ბედინაძესაც (60 კგ). იგი პოლონეთში მსოფლიოს უნივერსიადის გამო ვერ მიგვყავს. სატურნირო გამოცდილებას იზმირში მიიღებს.

— 84 კილოგრამში ნაკრების ღირსეულ წევრს ოფიციალურად პოლონეთიდან დაბრუნებისთანავე გამოაცხადებთ?

— არ გამოვრიცხავ ამ საგზურის ბედი ბოლო შეკრებებზე გადაწყდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის ტურნირზე კარგ გამოსვლას ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს.

— ორ სიტყვა მსოფლიოს მექმედ რემპიონ მანუჩარ კვირკველიაზეც თქვათ. ის წელიწადნ ნ კილოგრამ წონითი კატეგორიიდან 74-ში გადავიდა. ახალ წონაშიც შეძლებს ოქროსთვის ბრძოლას?

— კვირკველია რომ ძლიერი მოჭიდავეა, ამის მტკიცებას აღარ მოვყვები. თუ სექტემბრის ბოლომდე ჩვეული ფორმის აღდგენა მოახერხა, ჩემპიონობისთვის ბრძოლას აუცილებლად შეძლებს. საბედნიეროდ, არც შემართება აკლია და არც ტრავმა აწუხებს.

— სხვებს ხომ არ აქვთ ტრავმები?

— ამ ეტაპზე ყველა ჯანმრთელადაა. იმედია, ეს პრობლემა მსოფლიოს ჩემპიონატამდე არც არავის შეექმნება.

— პოლონეთიდან დაბრუნებული მორიგ შეკრებას როდის დაიწყებთ?

— 24 აგვისტოს ბორჯომში ჩავალთ და ორი კვირა დავრჩებით. შემდეგ ერთი კვირით თბილისში დავბრუნდებით და ვაკის ფალავანთა კლუბში ვივარჯიშებთ. მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე კი ბოლო ბორჯომულ შეკრებას მოვაწყობთ. ბუდაპეშტში 28 სექტემბერს გავემგზავრებით, ხოლო ჩემპიონატი 30-ში დაიწყება.

ოთარ მაღლაკელიძე

მზიური კალიფორნიის ყინულებში

პარგა ხანია, ლიგის კლუბების გენერალური მენეჯერები ბარაქიანი ტრეიდით გვაბალისებენ. ორი კვირის განმავლობაში ფაქტობრივად გადაწყდა ყველა თავისუფალი აგენტის ბედი. ისინი მეტწილად ახალ გუნდებში გადავიდნენ. ერთ-ერთი პირველი მათ შორის სკოტ ნიდერმაიერი გახლდათ. „ნიუ ჯერსის“ წამყვანი მცველის გადაბირება უამრავ კლუბს სურდა, მაგრამ ყველაზე მთავარი ოვით ჰოკეისტისათვის თავის უმცროს ძმასთან, რობთან პარტნიორობა გახლდათ. ამან განაპირობა სკოტის გადაწყვეტილება და 2003-2004 სეზონის საუკეთესო მცველი მზიურ კალიფორნიაში, „ანაჰაიმში“ გადაბარგდა. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს უმცროსმა ნიდერმაიერმა გაახანგრძლივა „ანაჰაიმთან“ კონტრაქტი 4 წლით, რომლის თანახმადაც 8 მილიონს მიიღებს.

საინტერესოა, რომ დაუზუსტებელი ინფორმაციით, ყოფილი კლუბი, „ნიუ ჯერსი“, ნიდერმაიერს 4 წლის განმავლობაში 32(!) მილიონ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ სკოტმა ფულს და უფრო ძლიერ გუნდში თამაშს ოჯახი ამჯობინა. ახალი კონტრაქტის თანახმად, 4 წლის განმავლობაში მისი ანაზღაურება 27 მილიონი იქნება.

კიდევ ერთი მთავარი მოვლენა ჯერემი რენიკის „ფილადელფიასთან“ დამშვიდობება გახდა. როგორც მოსალოდნელი იყო, რენიკიც ასევე კალიფორნიაში, „ლოს ანჯელესში“ გაემგზავრა. ლიგის მთავარი „არტისტი“ და კოლორიტი, ენაწყლიანობით და ექსტრავაგანტური ვარცხნილობით გამორჩეული ჯერემი აშშ-ს კინოს მექაში, ჰოლივუდში გადაბარგდა და, როგორც ჩანს, ამით მეტად კმაყოფილია. „მე ლოს ანჯელესის ჯიშის ბიჭი ვარ, ვინც მიცნობს, კარგად გამიგებს“ — თქვა რენიკმა საგანგებო პრესკონფერენციაზე.

პირველი სამეკარეო ტრეიდის ავტორი „ჩიკაგო“ გახდა, რომელმაც არც მეტი, არც ნაკლები, თასის მფლობელი ნიკოლაი ხაბიბულინი გადაიბირა, თანაც რუსთან 4-წლიანი და 27-მილიონიანი კონტრაქტი გაფორმდა, რის შედეგადაც ხაბიბულინი ლიგის ყველაზე ძვირადღირებული გოლკიპერი შეიქნა, ხოლო „ჩიკაგო“ დასავლეთში სერიოზულ ძალად იქცა.

ადრე „ნეშვილი“ მხოლოდ ოცნებობდა ექსტრაკლასის მოთამაშეზე, მაგრამ ახალ ეკონომიკურ პირობებში ეს რეალობად იქცა. ჰოდა, აშშ-ს ქანთრი-მუსიკის დედაქალაქის გუნდმაც გამოიყენა შანსი და შემადგენლობა პოლ კარიათი დაიმშვენა. ლიგის ერთ-ერთ უსწრაფეს და გამტან ფორვარდზე უკეთესს ვის შეიმატებდნენ „მტაცებლები“. მათ ხომ სწორედ მეგოლე აკლდათ. კონტრაქტის პირობები კი ასეთია: 2 წელი და 9 მილიონი.

ოცნებათა ახდენის კიდევ ერთი მაგალითი „პიტსბურგია“. მაჩანჩალად ქცეული და თითქმის ყველასგან აბუჩად აგდებული „პინგვინები“ ისე გაძლიერდნენ, რომ ლემიეს სიტყვები ბოლომდე ბრძოლის შესახებ აღარავის უკვირს. თავად ლემიეს, სიდნი კროსბისა და სერგეი გონჩარს ახლა ჩინეთული სლოვაკი მეგოლე ზიგმუნდ პალფი და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ძალისმიერი ფორვარდი ჯონ ლეკლერი დაემატათ. 13,5 მილიონ დოლარად შეძენილი პალფი წესით და რიგით კარგად უნდა შეეწყოს ზემოთ ხსენებულ კომპანიას და გამორიცხული არ არის, კვლავ დაუბრუნდეს 8-10 წლის წინანდელ დონეს, როცა სლოვაკს სეზონში 40 გოლი გაჰქონდა. რაც შეეხება ლეკლერს, ის ნებისმიერი გუნდისთვის საოცნებო მოთამაშეა.

სხვა მოვლენებიდან გამოვყოფთ ორი რუსის დაბრუნებას ლიგაში. წინა სეზონში რუსეთის პირველ ლიგაში (და არა სუპერლიგაში) ასპარეზობის შემდეგ ყველას ეგონა, რომ ალექსეი ჟამნოვის ნჰლ-ური კარიერა აღარ განახლდებოდა, მაგრამ „ბოსტონის“ მესვეურები სხვაგვარად ფიქრობენ. ლამის სანახევროდ შეცვლილი „დათვების“ რიგებში ჟამნოვს (3 წელი 12,3 მილიონი) ალბათ მთავარი პლეიმეიკერის როლი მიენიჭება.

მეორე რუსის, ოლეგ ტვერდოვსკის დაბრუნება კიდევ უფრო მოულოდნელი გამოდგა. ორი წლის წინ ტვერდოვსკიმ ყველა გააოცა, როდესაც საკმაოდ ხელსაყრელ ნჰლ-ურ პერსპექტივებს რუსეთში დაბრუნება ამჯობინა, იქ სრული ორი სეზონი ჩაატარა და ქვეყნის ჩემპიონიც კი გახდა. მაგრამ წესების შეცვლის შემდეგ ნჰლ-ში შემტევ მცველებზე მოთხოვნილება მკვეთრად გაიზარდა და, როგორც ჩანს, „კაროლინას“ ხელმძღვანელებმა დააჯერეს ტვერდოვსკი იმაში, რომ მისთვის ძალიან ნაადრევია ჩრდილოამერიკული ლიგის დაპყრობა და სამწლიანი კონტრაქტიც გაჩარხეს (7,5 მილიონი დოლარი). ამ ფონზე საკმაოდ უხმაუროდ ჩაიარა ერიკ ლინდროსის „ტორონტოში“ გადასვლამ. ოღეს�აც გრეცკისა და ლემიეს მემკვიდრედ მიჩნეული, მრავალჯერ ტვინშერყეული ერიკი კანადურ კლუბს სულ 1,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. წუხელ ალბათ ბოლო მეტნაკლებად ღირებული მცველიც გაიყიდა. მანამდე „აილენდერსში“ მოასპარეზე რომან ჰამრლიკი „კალგარის“ ერგო. ხელფასი 7 მილიონი დოლარი 2 წლის განმავლობაში.

სამველ ღარიბიანი

მოთამაშე	*ამპლუა*	*ძველი კლუბი*	*ახალი კლუბი*	*კონტრაქტის ვადა*	*თანხა*
ტეპო ნუმინენი	მცველი	დალასი	ბუფალო	1 წელი	2 მლნ
ტაი დომი	ფორვარდი	ტორონტო	ტორონტო	2 წელი	2,5 მლნ
ალექს ტანგეი	ფორვარდი	კოლორადო	კოლორადო	1 წელი	3,23 მლნ
ბრაიან რაფალსკი	მცველი	ნიუ ჯერსი	ნიუ ჯერსი	2 წელი	8,4 მლნ
ვლადიმირ მალახოვი	მცველი	ფილადელფია	ნიუ ჯერსი	2 წელი	7,2 მლნ
დან მაკგილისი	მცველი	ბოსტონი	ნიუ ჯერსი	2 წელი	4,4 მლნ
მარტინ ლაპოინტი	ფორვარდი	ბოსტონი	ჩიკაგო	3 წელი	7,2 მლნ
ჯეისონ ელისონი	ფორვარდი	ლოს ანჯელესი	ტორონტო	1 წელი	1,5 მლნ
მარეკ მალიკი	მცველი	ვანკუვერი	რეინჯერსი	3 წელი	7,5 მლნ
მილან ჰეიდუკი	ფორვარდი	კოლორადო	კოლორადო	5 წელი	19,5 მლნ
ბრენდან მორისონი	ფორვარდი	ვანკუვერი	ვანკუვერი	3 წელი	9,6 მლნ
რიკ ნეში	ფორვარდი	კოლუმბუსი	კოლუმბუსი	5 წელი	27 მლნ
კრის ჩელიოსი	მცველი	დეტროიტი	დეტროიტი	1 წელი	
ჯო ტორნტონი	ფორვარდი	ბოსტონი	ბოსტონი	3 წელი	
ვალერი ბურე	ფორვარდი	დალასი	ლოს ანჯელესი	1 წელი	
ჟოსლენ ტიბო	მეკარე	ჩიკაგო	პიტსბურგი	—	
შონ ბურკი	მეკარე	ფილადელფია	ტამპა	2 წელი	3,2 მლნ.

World Unity on the Aegean Blue
UNIVERSIADE
2005 İZMİR
FISU

ვერ ვიდავიდეთ



იზმირში მიმდინარე მსოფლიოს უნივერსიადის გუშინდელმა დღემ ისე ჩაიარა, ქართველი სტუდენტების ყულაბა ერთი ბრინჯაოთიც არ გამდიდრებულა. არადა შემოსავლიანი გუშინწინდელი დღის შემდეგ ასეთ შედეგს ალბათ არავინ ელოდა. ხალიჩაზე ხომ სამი დარჩენილი ბერძენ-რომაელი გადიოდა. მათ შორის 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ძირითადი ნაკრების წევრი დავით ბედინაძე.

პირველ წრეში დავითი ყაზახ იერბოლ კონირატოვს შეხვდა და სამრაუნდიან ბრძოლაში დამარცხდა. სამწუხაროდ ყაზახმა ფინალს ვერ უწია და ჩვენებურმა ბრინჯაოს შანსიც დაკარგა.

რეპეშაჟში გადართვის გარეშე დაასრულეს ჭიდაობა ოთარ ფეკაძემ (74 კგ) და გურამ ფერსელაძემაც (96 კგ). ორივემ მეორე წრეში წააგო.

წარუმატებლად გამოვიდა ტაეკვანდოისტი აკაკი ცენტერაძეც. ნიგერიელ მიხაელ ობიორასთან ოცდამეთორმეტედფინალში დამარცხდა.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. VI ტური

I ჯგუფი	III ჯგუფი
მაკედონია 0:3 ფინეთი	ლატვია 1:1 რუსეთი
რუმინეთი 2:0 ანდორა	ლიხტენშტაინი 0:0 სლოვაკეთი
IV ჯგუფი	
ფარერები 0:3 კვიპროსი	

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. VI ტური

A ჯგუფი	B ჯგუფი
სამხრეთ კორეა 0:1 ს. არაბეთი	იაპონია 2:1 ირანი
უზბეკეთი 3:2 კუვეიტი	ბაჰრეინი 2:3 კორეა

2006 წლის-მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა. VI ტური

III ჯგუფი	V ჯგუფი
სუდანი 1:0 ბენინი	ტუნისი 1:0 კენია

ამჟამინდელი მატჩები

უნგრეთი 1:2 არგენტინა
ნორვეგია 0:2 შვეიცარია
ბულგარეთი 3:1 თურქეთი
დანია 4:1 ინგლისი
ბელგია 2:0 საბერძნეთი
შვედეთი 2:1 ჩეხეთი
ჰოლანდია 2:2 გერმანია
ირლანდია 1:2 იტალია
უელსი 0:0 სლოვენია
ავსტრია 2:2 შოტლანდია
ხორვატია 1:1 ბრაზილია
ესპანეთი 2:0 ურუგვაი
პორტუგალია 2:0 ეგვიპტე

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში ხელბურთის პიონერთაგანი, თბილისის „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი

თეიმურაზ ზარდალიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მალარიის გაკვეთილი

გამარჯვება სულაც არ ნიშნავს გამარჯვებული ბიბლიოთეკა



უილსონ კიპკეტერი დიდ სარბიელს გამოეთხოვა

მოგეხსენებათ, უილსონ კიპკეტერი, დანიის სახელით მოასპარეზე მორბენალი, მონაკოს სამთავროს ქვეშევრდომი და 800 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდის ავტორი გახლავთ. ეს უცნობილესი და უძლიერესი მძლეოსანი მონტე კარლოში მდებარე IAAF-ის მთავარ ოფისში მივიდა და სპორტიდან წასვლის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. აქ, განვაგრძოთ კიპკეტერის ღვაწლისა და რეგალიების ჩამოთვლა: 34 წლის ვარსკვლავი IAAF-ს ელჩად ჰყავს გამოცხადებული, მსოფლიოს სამგზის (1995,97,99 წლები) ჩემპიონია და ორ ოლიმპიადაზე მედლები მოუგია. გუშინ კიპკეტერი ციურიხის „ოქროს ლიგის" შეჯიბრებაზე გაემართა, მაგრამ ცხოვრებაში პირველად სარბიელზე კი არ გავა, VIP ლოჟაში დაბრძანდება და იქიდან შეხედავს ცხოვრებას

— როდის და რატომ გადაწყვიტეთ სპორტიდან წასვლა?

— სარბიელს რომ უნდა ჩამოვშორებოდი ამაში თავს თავდაპირველად ათენის ოლიმპიადის მერე გამოვუტყდი, მაგრამ ეს იყო გადაწყვეტილების პირველი პუნქტი, რომლის შემდეგაც აზრს მთელი წელიწადი ვეგუებოდი. როგორც ხედავთ, ამ ამბის გამოცხადება ახლალა გავბედე.

— კერძოდ რამ გაიძულათ სპორტიდან წასულიყავით, ახალმა თაობამ გაჯობათ თუ მოტივაცია გამოგელიათ?

— 2000 წელს, სიდნეიში ვერცხლის მოგების შემდეგ ერთადერთი მოტივაცია მქონდა, მინდოდა ოლიმპიური ოქრო მომეპოვებინა და მთელი ოთხი წელიწადი ამისათვის ვემზადებოდი, მაგრამ ვაგლახ, ბრინჯაოზე უკეთესი ვერაფერი შევძელი. ადამიანი კი რეალისტი უნდა იყო. განა ცხადი არ არის, რომ ჩემი ასაკის სპორტსმენი კიდევ ოთხ წელიწადს ვეღარ მოიცდის? მოკლედ, გაირკვა, რომ ოლიმპიურ ოქროს ვერასდროს მოვიგებ და ამით ჩემი ინტერესი მძლეოსნობაში ამოიწურა.

— ოჯახთან მეტხანს ყოფნის სურვილმაც ხომ არ ითამაშა თავისი როლი?

— არა, ოჯახი საერთოდ არაფერ შუაშია. ამდენი წლის თავდადებული წვრთნის შემდეგ ცალკე ახალ თაობასაც გადავხედე, ცალკე ჩემში დარჩენილი ენერგია ავწონ-დავწონე და დასკვნა ასე გავაკეთე. ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც რაღაც უნდა გადაწყვიტო და წერტილი დასვა. სპორტსმენობას და გამარჯვებებს ნებისყოფა და თავდადება სჭირდება. მე სპორტული მიღწევებისთვის საჭირო ჟინი აღარ მაქვს, მაგრამ მაქვს უამრავი სხვა ინტერესი და მიზანი.

— სპორტიდან საუკეთესო მოგონებად რა დაგრჩებათ?

— როდესაც განვლილ წლებზე ვფიქრობ, უპირველესად იმას ვხედავ, რომ ხალხი სირბილის გამო მიცნობს. რომ არ მერბინა უილსონ კიპკეტერის სახელი არავის ეცოდინებოდა. სირბილი იყო ჩემი პროფესია და სირბილმა მომცა ყველაფერი, რასაც ცხოვრებისგან ვითხოვდი. შესაბამისად, თავს ვალდებულად ვთვლი სპორტის ამ სახეობას ამაგი დავუფასო და მთელი ძალითა და ღონით ვემსახურო.

ჩემს სპორტულ კარიერაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენო 1998 წელს გადატანილი მალარიაც, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა. ამ სენმა ცხოვრება სხვა თვალით დამანახა. იცით, როდესაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სარბიელზე ბრუნდები და ისევ უდიდეს შედეგებამდე ადიხარ, სხვანაირი ხდები. ამდენი კი იმიტომ ვილაპარაკე, რომ გულწრფელად გითხრათ — ჩემი ყველაზე დიდი შედეგი 1998 წელს აქ, მონაკოში ნაჩვენები 1:43.74 იყო. იმ დღეს დავამტკიცე, რომ გამოჯანმრთელებულს ისევ მაღალი შედეგების მიღწევა შემეძლო.

— კეთილი, მაგრამ მოდი ემოცია გადავდოთ და მშრალად, შედეგების მიხედვით გავიხსენოთ თქვენი საუკეთესო ასპარეზობა.

— 1997 წელს დარბაზსა და ღია სივრცეში მსოფლიოს რეკორდები დავამყარე. იმ წელიწადს ყოველ გარბენს 1:42-ში ვასრულებდი და ყველაფერი იოლად გამომდიოდა: სპონსორები კონტრაქტებს მიდებდნენ და მიღიმოდნენ, ჩხუბი არავისთან მომსვლია... მაშინ ყველა ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ 1998 წელს, უმძიმეს წუთებში ამ ხალხს დავავიწყდი. მაშინ მივხვდი, რომ სინამდვილეში ერთი-ორ ადამიანს თუ დაეყრდნობი.

კიდევ, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ საკუთარ თავთან მართალი ცხოვრებაა საჭირო, და ვიგრძენი, რომ ახალი ფიქრი, ყველაფრისადმი ახალი დამოკიდებულება მჭირდებოდა. მას მერე დავრბივარ მხოლოდ ჩემთვის, ჩემი ოჯახისა და ნამდვილი ახლობლებისათვის. იმ ხალხისთვის, ვინც მქომაგობდა და მხარდასაჭერ წერილებს მწერდა.

— მომავალშიც სპორტში იტრიალებთ?

— დიახ. მინდა დავეხმარო სხვებს, სპორტსმენებს მხარში ამოვუდგე. აგრეთვე ვფიქრობ, შეეცებმა უნდა გაიაზრონ მძლეოსანთა ცხოვრება, მათი მისწრაფებები და პრობლემები. ყველა ამბობს, რომ ექსპერტია, მაგრამ არავინ უფიქრდება გრძნობებს, არადა მთავარი ესაა, მთავარი განცდა და საქმის სიყვარულია.

მინდა ახალგაზრდა თაობებმა ჩემზე ადრე გაიაზრონ, რომ მედლის მოგება თავისთავად არც გამარჯვებას ნიშნავს და არც დამარცხებას. გამარჯვებული მაშინ ხარ თუ მთელი ცხოვრება წინ მიიწევ, შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებ და შედეგებს აუმჯობესებ, მიუხედავად იმისა, გარბენში ფინიშის ხაზთან რომელი მიხვედი. ბედნიერებისთვის ესაა მთავარი.

ზღვის ამსტერდამი არქნა

ამსტერდამში მდინარე, ამსტელი, როდის ერწყმის ხელოვნურ არხს, და როდის ზღვის ყურეს, ხამად მყოფი კაცისთვის ძნელი გასარკვევია, მაგრამ ის, რაც ამ ფოტოზეა აღბეჭდილი, უფრო ზღვის ყურე გვგონია. ამდენი სანაოსნო მოწყობილობა კი იმიტომ დაცურავს, რომ ზღვაოსანთა უდიდესი ღონისძიება, „აფრა 2005“ დიწყო. შეჯიბრება 22 აგვისტომდე გასტანს.

AFP ამსტერდამიდან

აგვისტოში თამაშერვლისთვის

თქვენ აქედან, ბიჭებო, და თქვენ იქიდან, ბიჭებო — აშშ-ის ჰოკეისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი პიტერ ლავიოლეტი ლეიკ პლესიდში, შეკრებაზე, მოთამაშეებს მოძღვრავს. ლავიოლეტი საერთოდ „კაროლინა ჰურიკანზის“ თავკაცია, მაგრამ რამდენიმე დღეა, სათამაშოდ, ტურინის ზამთრის ოლიმპიადისთვის ნაკრებიც ჩააბარეს.

გოგოები, მაგრამ რა გოგოები

ესეც ქალთა კალათბურთი. „დეტროიტ შოკის“ ცენტრი პლიზეტ პირსონი თეთრების, „ფინიკს მერკურის“ გოგოების, დაიანა ტაურასისა და მარია სტეპანოვას გარემოცვაში. დაბეთ, რა ბრძოლაა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge